პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 38-ე წელი
№ 169 (11173)

პარასკევი, 25 ივლისი, 1958 წ.

ფასი 20 კაპ.

## დ ღ ე ს ნ ო მ ე რ შ ი ა:

დიდი აღმავლობის გზით. — „პრავდის“ 24 ივლისის მოწინავე (1-ლი გვერდი).
საბჭოთა კავშირ-ავსტრიის მოლაპარაკება კრემლში (1-ლი გვერდი).
ავსტრიის მთავრობის დელეგაცია მოსკოვში (1-ლი გვერდი).
წერილების გაცვლა ნ. ს. ხრუშჩოვს, დ. ეიზენჰაუერს, ჰ. მაკმილანს, შ. დე გოლსა და ჯ. ნერუს შორის (1-ლი გვერდი).
ა. ხორავა. — ხელები შორს არაბეთისაგან! (1-ლი გვერდი).
ს. ჩხაიძე. — შეწყვიტეთ ცეცხლთან თამაში! (1-ლი გვერდი).
შ. ჭყოიძე. — ისტორიის მსვლელობას ვერავინ ვერ შეაჩერებს (1-ლი გვერდი).
სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1958 წლის პირველი ნახევრის სახელმწიფო გეგმის შესრულების შედეგების შესახებ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს ცნობა (მე-2 და მე-3 გვერდი).
ჯოუ ენ-ლაის [illegible] კისადმი (მე-4 გვერდი).
გაიხსნა იაპონიის [illegible] VII ყრილობა (მე-4 გვერდი).
მშვიდობის მსოფლიო საბჭოს ხელმძღვანელი ორგანოები (მე-4 გვერდი).
უცხოეთის ინფორმაციები (მე-4 გვერდი).
სპორტის ამბები (მე-4 გვერდი).

# დიდი აღმავლობის გზით

### „პრავდის“ 24 ივლისის მოწინავე

დღეს „პრავდაში“ ქვეყნდება სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს ცნობა სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1958 წლის პირველი ნახევრის სახელმწიფო გეგმის შესრულების შედეგების შესახებ.

რას გვიჩვენებენ ეს შედეგები? ისინი დამაჯერებლად მოწმობენ სოციალისტური ინდუსტრიის — ჩვენი ეკონომიკის საფუძვლის განუხრელ განვითარებას, სოციალისტური სოფლის მეურნეობის მკვეთრ აღმავლობას, საბჭოთა მეცნიერებისა და კულტურის თვალსაჩინო წარმატებას, მშრომელთა მატერიალური კეთილდღეობის შემდგომ გაუმჯობესებას და კულტურული დონის ამაღლებას.

ეს წარმატებანი ცხადყოფენ სოციალისტური წყობილების დიდ უპირატესობას კაპიტალისტური წყობილების წინაშე. მათ სიხარულით შეხვდებიან სოციალისტური ბანაკის ყველა ქვეყნის ხალხები, ყველა ჩვენი მეგობარი უცხოეთში. დარბაზობაზე პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის საელჩოში ამხანაგი ნ. ს. ხრუშჩოვი ამ დღეებში ამბობდა: „რაც შეეხება საქმის მდგომარეობას სოციალისტურ ბანაკში, იქ ჩვენი საქმე კარგად მიდის. კარგად, ისე როგორც წინათ არასოდეს ყოფილა! ვისთვისაც ეს სასიამოვნოა — დაე უხაროდეს, ვისთვისაც არასასიამოვნოა — დაე შეწუხდეს, მდგომარეობა ჩვენში ამით არ შეიცვლება. საბჭოთა კავშირში დიდი აღმავლობით მუშაობს მრეწველობა, ჩვენი ქვეყნის ყანებში მოწეულია მარცვლეული და სხვა კულტურების ძლიერ კარგი მოსავალი“.

სსრ კავშირის მრეწველობის საერთო პროდუქციის წლის პირველი ნახევრის გეგმა შესრულებულია 104 პროცენტით. 1957 წლის პირველ ნახევართან შედარებით სამრეწველო პროდუქციის წარმოება გადიდდა 10,5 პროცენტით.

ვადამდე დაამთავრეს ნახევარი წლის საწარმოო პროგრამა და სამშობლოს გეგმის გადაჭარბებით მისცეს დიდძალი უმნიშვნელოვანესი პროდუქცია მძიმე ინდუსტრიის მუშაკებმა — მეტალურგებმა, მეშახტეებმა, ნავთობის მუშაკებმა, მეცემენტეებმა, მანქანათმშენებლებმა და სხვებმა.

მთელმა ჩვენმა ხალხმა მხურვალედ მოიწონა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მაისის პლენუმის დადგენილება ქიმიური მრეწველობის განვითარების დაჩქარების შესახებ. ამ დადგენილების განხორციელება იქნება ახალი დიდი წვლილი სსრ კავშირის მთავარი ეკონომიური ამოცანის გადაჭრაში — უმოკლეს ისტორიულ ვადებში დავეწიოთ და გავუსწროთ ყველაზე განვითარებულ კაპიტალისტურ ქვეყნებს ერთ სულ მოსახლეზე პროდუქციის წარმოების მხრივ.

დღეს საბჭოთა ადამიანები კმაყოფილებით შეხვდებიან ცნობას, რომ ქიმიური მრეწველობის საწარმოებში გაჩაღდა დიდი მუშაობა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მაისის პლენუმის გადაწყვეტილებათა განსახორციელებლად. ძირითად სახეობათა სინთეზური ფისებისა და პლასტიკური მასების, აგრეთვე ხელოვნური და სინთეზური ბოჭკოების გამოშვების წლის პირველი ნახევრის გეგმა გადაჭარბებით არის შესრულებული. კარგად იშრომეს მსუბუქი ინდუსტრიის მუშაკებმაც. მათ ვადამდე დაამთავრეს ფართო მოხმარების ბევრი უმნიშვნელოვანესი საქონლის წარმოების ნახევარი წლის გეგმა.

მოკავშირე რესპუბლიკების, სახალხო მეურნეობის საბჭოების წარმოების დარგების მიერ ნახევარი წლის გეგმის წარმატებით შესრულება ყველა საბჭოთა ადამიანს ახარებს. ეს წარმატება იმის პირდაპირი შედეგია, რომ მრეწველობისა და მშენებლობის მართვის გარდაქმნამ, რაც კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ინიციატივით განხორციელდა, გამოავლინა დამატებითი რეზერვები ჩვენს ეკონომიკაში, აამაღლა ადგილობრივი ორგანოების როლი სამეურნეო საკითხების გადაჭრაში, შესაძლებლობა მისცა მშრომელთა მილიონიან მასებს უფრო ფართოდ გამოიჩინონ შემოქმედებითი აქტივობა და ინიციატივა.

ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს ცნობაში აღნიშნულია, რომ საკოლმეურნეო წყობილების შემდგომი განვითარებისა და მტს-ების რეორგანიზაციის ღონისძიებებმა, რომლებსაც პარტია და მთავრობა ახორციელებენ, უზრუნველყვეს კოლმეურნე გლეხობის ინიციატივისა და აქტივობის ახალი აღმავლობა. მიუხედავად დაგვიანებული გაზაფხულისა, საგაზაფხულო თესვა წარმატებით დამთავრდა. კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში გადიდდა პროდუქტიული პირუტყვის სულადობა. მეცხოველეობის პროდუქტების წარმოების ზრდამ შესაძლებელი გახადა მნიშვნელოვნად გადიდებულიყო ამ პროდუქტების სახელმწიფო დამზადება და შესყიდვა.

ნახევარ წელიწადში სოფლის მეურნეობამ მიიღო ბევრი მანქანა-ტრაქტორები, კომბაინები, სამკალი მანქანები, სატვირთო ავტომობილები და სხვ. „საკოლმეურნეო წყობილების შემდგომი განვითარებისა და მანქანა-ტრაქტორთა სადგურების რეორგანიზაციის შესახებ“ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მიერ მიღებული კანონის შესაბამისად კოლმეურნეობათა 65 პროცენტმა მიმდინარე წლის 1 ივლისისათვის იყიდა მტს-ებისაგან მისთვის საჭირო ტექნიკა.

ჩვენს ქვეყანაში წარმოებს უდიდესი კაპიტალური მშენებლობა. კაპიტალურ დაბანდებათა მოცულობა გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 11 პროცენტით გადიდდა. განსაკუთრებით გადიდდა კაპიტალდაბანდებანი მძიმე ინდუსტრიის გადამწყვეტ დარგებში, აგრეთვე მსუბუქ და კვების მრეწველობაში. კაპიტალდაბანდებანი საბინაო მშენებლობაში 19 პროცენტით გაიზარდა. სახალხო მეურნეობის ყველა დარგში ნახევარ წელიწადში ამოქმედდნენ ახალი სიმძლავრენი.

კაპიტალიზმს რომ ვჯობოთ მშვიდობიანი შეჯიბრების ასპარეზზე, ჩვენ დაუყოვნებლივ და მალე უნდა გავადიდოთ შრომის ნაყოფიერება. კმაყოფილებით შეიძლება აღინიშნოს, რომ მრეწველობასა და მშენებლობაში შრომის ნაყოფიერების გადიდების გასული ნახევარი წლის გეგმა გადაჭარბებით შესრულდა. მრეწველობაში იგი გადიდდა 6 პროცენტით, მშენებლობაში — 10 პროცენტით. გაუმჯობესდა საწარმოთა და მშენებლობათა მუშაობის სხვა ხარისხობრივი მაჩვენებლებიც. ეს არის ახალი ტექნიკის დანერგვის, მშრომელთა კულტურულ-ტექნიკური დონისა და შემოქმედებითი ინიციატივის ამაღლების შედეგი.

ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს ცნობა შეიცავს მკაფიო ფაქტებს, რომლებიც მოწმობენ, რომ წლის პირველ ნახევარში გრძელდებოდა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის მიერ გათვალისწინებულ დიდ ღონისძიებათა განხორციელება, რომელთა მიზანია საბჭოთა ხალხის მატერიალური კეთილდღეობის შემდგომი გაუმჯობესება და კულტურული დონის ამაღლება. გრძელდებოდა მრეწველობის მუშებისა და მოსამსახურეების გადაყვანა შემცირებულ სამუშაო დღეზე. ნახევარ წელიწადში მოსახლეობამ სახელმწიფოს ხარჯზე მიიღო 106 მილიარდი მანეთის შემწეობა და შეღავათები, ანუ 6 პროცენტით მეტი, ვიდრე გასული წლის პირველ ნახევარში. საქონელბრუნვის მოცულობა შესადარ ფასებში გადიდდა 6 პროცენტით, საგრძნობლად გაიზარდა უმნიშვნელოვანესი საქონლის გაყიდვა. 1957 წლის პირველ ნახევართან შედარებით მოსახლეობისათვის ხორცისა და ხორცის პროდუქტების მიყიდვა გადიდდა 113 ათასი ტონით, ერბო-კარაქისა — 35 ათასი ტონით, ხოლო მთელი რძისა და რძის პროდუქტების — 1.131 ათასი ტონით.

მარტო იმ სახსრებით, რომლებიც გამოყოფილია სახელმწიფო გეგმით, ნახევარ წელიწადში აშენდა და საექსპლოატაციოდ გადაეცა დაახლოებით 12 მილიონი კვადრატული მეტრი საერთო ფართობის საცხოვრებელი სახლები — ორი მილიონი კვადრატული მეტრით და უფრო მეტით, ვიდრე 1957 წლის პირველ ნახევარში. მნიშვნელოვანია ჩვენი ეკონომიკისა და კულტურის მიღწევანი. მაგრამ სწორი არ იქნებოდა დაგვევიწყნა, რომ წარმატებებთან ერთად ჩვენ ცოტა ნაკლი როდი გვაქვს. ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს ცნობაში აღნიშნულია, რომ მრეწველობამ ვერ შეასრულა ისეთ დიდმნიშვნელოვან სახეობათა პროდუქციის გეგმა, როგორიც არის მეტალურგიული მოწყობილობა, ნავთობაპარატურა, სტანდარტული სახლები და დეტალების კომპლექტები სტანდარტული და ტიპობრივი სახლებისათვის. უკრაინის, რუსეთის ფედერაციის, აზერბაიჯანის, ლატვიის, ბელორუსიის, უზბეკეთისა და ყაზახეთის მრეწველობის მუშაკებმა აქედან საჭირო დასკვნები უნდა გააკეთონ.

მრეწველობაში ნელა ვითარდება წარმოების კომპლექსური მექანიზაცია და ავტომატიზაცია. მთელმა რიგმა საწარმოებმა ვერ შეასრულეს ახალი ტექნიკის განვითარებისა და დანერგვის დავალებანი. ბევრი საწარმო ვერ ართმევს თავს პროდუქციის თვითღირებულების შემცირების დავალებას. ცალკეული სახალხო მეურნეობის საბჭოების სამრეწველო საწარმოებში შრომის ნაყოფიერების ზრდა ჩამორჩებოდა საშუალო ხელფასის ზრდას. ჯერ კიდევ არის ნაკლი სამშენებლო სამუშაოთა ორგანიზაციაში.

ამოცანა ის არის, რომ უფრო ფართოდ გავაჩაღოთ შეჯიბრება 1958 წლის გეგმის ვადამდე შესრულებისათვის ყველა მაჩვენებლის მიხედვით, მტკიცედ დავნერგოთ ახალი ტექნიკა და მოწინავე ტექნოლოგია, წარმოების კომპლექსური მექანიზაცია და ავტომატიზაცია, დაუცხრომლად ვზარდოთ შრომის ნაყოფიერება, უფრო სრულად გამოვიყენოთ სოციალისტური ეკონომიკის დაუშრეტელი შესაძლებლობანი.

კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით საბჭოთა ადამიანები ახალ თვალსაჩინო წარმატებას მოიპოვებენ საყვარელი სამშობლოს ძლიერების შემდგომი განმტკიცებისათვის, სახალხო მეურნეობის ყველა დარგის აყვავებისათვის, მშრომელთა კულტურისა და კეთილდღეობის უფრო მაღალი დონისათვის ბრძოლაში.

# საბჭოთა კავშირ-ავსტრიის მოლაპარაკება კრემლში

23 ივლისს კრემლში განგრძობილ იქნა საბჭოთა კავშირ-ავსტრიის მოლაპარაკება.

საბჭოთა კავშირის მხრივ მოლაპარაკებაში მონაწილეობა მიიღეს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ნ. ს. ხრუშჩოვმა, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეებმა ა. ი. მიქოიანმა და ა. ნ. კოსიგინმა და სხვებმა.

ავსტრიის მხრივ მოლაპარაკებაში მონაწილეობდნენ: ფედერალური კანცლერი იულიუს რააბი, ვიცე-კანცლერი ბრუნო პიტერმანი, საგარეო საქმეთა ფედერალური მინისტრი ლეოპოლდ ფიგლი და სხვები.

როგორც წინა შეხვედრის დროს, მხარეები განაგრძობდნენ აზრთა გაზიარებას საბჭოთა კავშირ-ავსტრიის ურთიერთობის შემდგომი განვითარების საკითხებზე. შეეხნენ აგრეთვე საერთაშორისო მდგომარეობის ზოგიერთ საკითხს, რომლებიც ორივე მხარეს აინტერესებს.

მოლაპარაკება, რომელიც მიმდინარეობდა სრული ურთიერთგაგებისა და გულწრფელობის სულისკვეთებით, წარმატებით დამთავრდა. (საკდესი).

# ავსტრიის მთავრობის დელეგაცია მოსკოვში

23 ივლისს ავსტრიის დელეგაციის წევრებმა დაათვალიერეს კრემლი, შემდეგ კი გაემგზავრნენ სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო და სამრეწველო გამოფენებზე.

ავსტრიის რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა სსრ კავშირში ნორბერტ ბიშოფმა 23 ივლისს სადილი გამართა ავსტრიის მთავრობის დელეგაციის მოსკოვში ყოფნის გამო.

სადილზე იყვნენ დელეგაციის მეთაური ფედერალური კანცლერი იულიუს რააბი და დელეგაციის სხვა წევრები.

საბჭოთა კავშირის მხრივ სადილზე იყვნენ ა. ი. მიქოიანი, ნ. ს. ხრუშჩოვი, ა. ნ. კოსიგინი და სხვები.

სადილის დროს ფედერალურმა კანცლერმა იულიუს რააბმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ნ. ს. ხრუშჩოვმა მეგობრული სიტყვებით მიმართეს ერთმანეთს.

საღამოს ავსტრიის მთავრობის დელეგაციის მოსკოვში ყოფნის გამო ავსტრიის რესპუბლიკის ელჩმა სსრ კავშირში ნორბერტ ბიშოფმა დარბაზობა გამართა. (საკდესი).

# ხალხები გულისწყრომითა და აღშფოთებით გმობენ ამერიკელ-ინგლისელ აგრესორებს

★ ★ ★

## წერილების გაცვლა ნ. ს. ხრუშჩოვს, დ. ეიზენჰაუერს, ჰ. მაკმილანს, შ. დე გოლსა და ჯ. ნერუს შორის

23 ივლისს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ამხ. ნ. ს. ხრუშჩოვმა წერილები გაუგზავნა ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტს დ. ეიზენჰაუერს, დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრს ჰ. მაკმილანს, საფრანგეთის რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს შ. დე გოლს და ინდოეთის პრემიერ მინისტრს ჯ. ნერუს. ნ. ს. ხრუშჩოვმა თავის წერილებში გამოთქვა საბჭოთა მთავრობის თანხმობა იმის შესახებ, რომ მოწვეულ იქნას მთავრობათა მეთაურების თათბირი ახლო და შუა აღმოსავლეთში შექმნილი მდგომარეობის განსახილველად უშიშროების საბჭოს ჩარჩოებში.

წინადადებას უშიშროების საბჭოს ჩარჩოებში მთავრობათა მეთაურების თათბირის შესახებ შეიცავდნენ ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის, დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრისა და საფრანგეთის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის წერილები, რომლებიც ნ. ს. ხრუშჩოვს გამოუგზავნეს 22 ივლისს მისი 19 ივლისის წერილის საპასუხოდ. „უშიშროების საბჭო, — ნათქვამი იყო დ. ეიზენჰაუერის საპასუხო წერილში, — უკვე განიხილავს იმ პრობლემის ზოგიერთ ფაზას, რომელიც ნახსენებია თქვენს ნოტაში. თუ თქვენ ან ჩვენ მიგვაჩნია, რომ დაუყოვნებლივ უნდა შევუდგეთ ამ პრობლემის სხვა ასპექტებს ანდა სხვა პრობლემების განხილვას მშვიდობის ინტერესებისათვის, მაშინ თვითეულ ჩვენგანს შეუძლია გააფართოოს საკითხების წრე უშიშროების საბჭოში განსახილველად.

გარდა ამისა, წესდების საფუძველზე, მთავრობის წევრებს, მათ შორის მთავრობათა მეთაურებს და საგარეო საქმეთა მინისტრებს, შეუძლიათ წარმოადგინონ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრი სახელმწიფო უშიშროების საბჭოში. თუ ასეთი სხდომა სასურველია ყველასათვის, ამერიკის შეერთებული შტატები შეუერთდებიან ამ მოწესრიგებულ პროცედურას“.

უპასუხებს რა დ. ეიზენჰაუერს, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ნ. ს. ხრუშჩოვი თავის 23 ივლისის წერილში წერს: „ამჟამად ჩვენ არა გვსურს შევუდგეთ პოლემიკას იმ მიზეზთა შესახებ, რომლებმაც გამოიწვიეს დაძაბულობა და შექმნეს საფრთხე მშვიდობისათვის ახლო და შუა აღმოსავლეთის რაიონში. ყველა ამ საკითხზე საბჭოთა მთავრობის თვალსაზრისი ჩამოყალიბებული იყო ჩემს 19 ივლისის წერილში“.

„საბჭოთა მთავრობას მიაჩნია, — ნათქვამია ნ. ს. ხრუშჩოვის წერილში, — რომ ამჟამად საფრთხე საყოველთაო მშვიდობისათვის ესოდენ სერიოზულია, რომ საჭიროა, პოლემიკაზე დროის დაუკარგავად, რასაც შეუძლია მხოლოდ დაგვაშოროს შეთანხმების მიღწევას მიღებულ იქნას ყოველი შესაძლებელი და ულერისად ხასწრაფო ღონისძიებანი, რათა თავიდან აცილებულ იქნას მსოფლიო კონფლიქტის წარმოშობა“.

წერილში აღნიშნულია, რომ, ითვალისწინებს რა სასწრაფო ღონისძიებათა მიღების საჭიროებას მშვიდობის შენარჩუნების ინტერესებისათვის, საბჭოთა მთავრობას მიაჩნია, რომ მთავრობათა მეთაურების შეხვედრის ფორმას ამ შემთხვევაში ვერ ექნება გადამწყვეტი მნიშვნელობა. საბჭოთა მთავრობისათვის მისაღებია მოსაზრება უშიშროების საბჭოს ჩარჩოებში მთავრობათა მეთაურების თათბირის მოწვევის შესახებ, რომელიც გამოთქვა დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრმა ბ-ნმა მაკმილანმა. დიდმნიშვნელოვანია, რომ ეს შეხვედრა მოხდეს რაც შეიძლება ადრე, რათა შეიძლებოდეს უფრო მალე გამოძებნილ იქნას სწორი გადაწყვეტა, რომელიც ხელს შეუწყობს მშვიდობის დაცვასა და განმტკიცებას, დამშვიდებას შეიტანს ახლო და შუა აღმოსავლეთის რაიონში და ხელს შეუწყობს დაძაბულობის შენელებას სახელმწიფოთა ურთიერთობაში.

„რამდენადაც, — ნათქვამია წერილში, — ამ შემთხვევაში საქმე ეხება უშიშროების საბჭოში არა ჩვეულებრივი მიმდინარე საკითხების, არამედ განსაკუთრებული დიდი მნიშვნელობის საკითხების განხილვას, მშვიდობის დაცვისა და უშიშროების უზრუნველყოფის თვალსაზრისით, ჩვენ მიგვაჩნია, რომ ამ შემთხვევაში სასარგებლო იქნებოდა უშიშროების საბჭოს მუშაობაში მონაწილეობისათვის მოგვეწვია ინდოეთი — აზიის უდიდესი ქვეყანა, რომელმაც საყოველთაო აღიარება პოვა, როგორც სახელმწიფომ, რომელიც მოითხოვს მშვიდობის განმტკიცებას“.

წერილში აღნიშნულია, რომ რამდენადაც დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრი, საფრანგეთის რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე, ინდოეთის პრემიერ-მინისტრი და ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტი თანახმა არიან პირადი მონაწილეობა მიიღონ უშიშროების საბჭოს სპეციალური სხდომის მუშაობაში, საბჭოთა კავშირი ამ სხდომაზე წარმოდგენილ იქნება სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარით. უშიშროების საბჭოში ზემო აღნიშნული ხუთი სახელმწიფოს მთავრობათა მეთაურების მონაწილეობით საკითხების განხილვაში მოწვეულ უნდა იქნან არაბთა დაინტერესებული სახელმწიფოების მთავრობები.

საბჭოთა მთავრობას შემოაქვს წინადადება ასეთი მუშაობა უშიშროების საბჭოში დაიწყოს 28 ივლისს ნიუ-იორკში.

ანალოგიურ წინადადებებს შეიცავენ ნ. ს. ხრუშჩოვის წერილები ჰ. მაკმილანისადმი, შ. დე გოლისა და ჯ. ნერუსადმი. (საკდესი).




იმსხვრევა კოლონიალიზმის ჯაჭვები!

პლაკატი მხატვარ ირ. თოიძისა.

★

# ხელები შორს არაბეთისაგან!

ქართველმა ხალხმა შექმნა ბრძნული ანდაზა: „თუ ღმერთს სურს ადამიანი დასაჯოს, ჭკუას დააკლებსო“. მხოლოდ გონებადაკარგულებს, ისტერიულ მდგომარეობაში მყოფ იმპერიალისტებს შეეძლოთ ჩაედინათ ის, რასაც დღეს ისინი სჩადიან არაბთა ხალხის მიმართ.

მიუხედავად მშვიდობისმოყვარე კაცობრიობის არაერთგზის გაფრთხილებისა, მსოფლიო ბატონობის მოსურნე ამერიკისა და ინგლისის იმპერიალიზმი ცოფმორეული ეძგერა ეროვნული თავისუფლებისათვის მებრძოლ ხალხს და ცეცხლითა და მახვილით ლამობს სისხლში ჩაახრჩოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლა საუკუნეების მანძილზე დაბეჩავებული და მონურ მდგომარეობაში მყოფი არაბი ხალხისა.

სად გაქრა მათი მტკიცება, რომ დასავლეთის „თავისუფალი სამყარო“ იბრძვის მშვიდობისათვის, თავისუფლებისათვის, ერთა განთავისუფლებისათვის, დემოკრატიისათვის, სამართლიანობისათვის!

საკმარისი გახდა ხალხთა ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლა ოდნავ მაინც შეხებოდა მათს ჯიბეს, რომ მაშინვე სამართლიანობის, მშვიდობისა და თანასწორობის ნიღაბს ამოფარებული, კაცთმოძულე ამერიკელი და ინგლისელი იმპერიალისტები წარსდგნენ კაცობრიობის წინაშე თავიანთი მგლური, ვერაგული, მხეცური სახით.

ჩვენ, საბჭოთა ადამიანები, მთელი მსოფლიოს კეთილი ნების ადამიანებთან ერთად საქვეყნოდ მოვითხოვთ: — ხელები შორს არაბეთისაგან!

**აკაკი ხორავა,**
სსრ კავშირის სახალხო არტისტი, სტალინური პრემიის ლაურეატი.

# შეწყვიტეთ ცეცხლთან თამაში!

კოლმეურნეებმა დიდი აღშფოთებით შეიტყეს მშვიდობისა და თავისუფლებისმოყვარე ლიბანის და იორდანიის ქვეყნების საშინაო საქმეებში ამერიკელ და ინგლისელ იმპერიალისტთა უხეში ჩარევის ამბავი. იმპერიალისტების მიზანი ნათელია — სისხლში ჩაახრჩონ ახლო და შუა აღმოსავლეთის ხალხთა განმათავისუფლებელი მოძრაობა.

იმპერიალისტები პირველად როდი ერევიან ახლო აღმოსავლეთის საშინაო საქმეებში. საბჭოთა ადამიანები ყოველთვის უჭერდნენ და უჭერენ მხარს კოლონიური ქვეყნების ხალხებს მათს ბრძოლაში თავისუფლებისა და ეროვნული დამოუკიდებლობისათვის.

მე, როგორც მეორე მსოფლიო ომის უშუალო მონაწილეს, თვალწინ მიდგას ომის საშინელებანი: დანგრეული ქალაქები, გავერანებული სოფლები, ცეცხლში დამწვარი ბავშვები და მოხუცები... ამიტომ ჩემს ხმას ვუერთებ მსოფლიოს კეთილი ნების ადამიანების ხმას, რომლებიც მტკიცედ აცხადებენ: ხელები შორს ლიბანისაგან, ერაყის, იორდანიისა და აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებისაგან!

იმპერიალისტ ომისგამჩაღებლებს ერთხელ კიდევ მოვაგონებთ — ხელი აიღონ ცეცხლთან თამაშზე.

**ს. ჩხაიძე,**
მახარაძის რაიონის სოფელ ლაშის კოლმეურნეობის თავმჯდომარე, საბჭოთა კავშირის გმირი.

# ისტორიის მსვლელობას ვერავინ ვერ შეაჩერებს

აღშფოთებით შევიტყეთ ლიბანში და იორდანიაში ამერიკის შეერთებული შტატების შეიარაღებული ინტერვენციის შესახებ. იმპერიალისტი კოლონიზატორები ცდილობენ სისხლის მორევში ჩაახრჩონ თავისუფლებისმოყვარე არაბი ხალხი. მაგრამ ეს არ მოხდება! ისტორიის სწორ მსვლელობას ვერავინ და ვერაფერი ვერ შეაჩერებს.

მამაც არაბ ხალხს გვერდში უდგას მსოფლიოს ყველა მშვიდობისმოყვარე ხალხი.

ამერიკის შეერთებული შტატების მოქმედება სერიოზულ საფრთხეს უქმნის საერთაშორისო მშვიდობასა და უშიშროებას.

ჩვენ, საბჭოთა ადამიანები, მხურვალედ ვიწონებთ საბჭოთა მთავრობის განცხადებებს ახლო და შუა აღმოსავლეთში მომხდარ ამბებთან დაკავშირებით. კიდევ უფრო მჭიდროდ დავირაზმებით მშობლიური კომუნისტური პარტიის გარშემო. ყველაფერს გავაკეთებთ იმისათვის, რომ შემდგომ განმტკიცდეს მსოფლიოს ხალხთა მშვიდობის ურყევი ბურჯი — საყვარელი საბჭოთა სამშობლო.

**შ. ჭყოიძე,**
თბილისის საორთქლმავლო დეპოს მემანქანე.

# სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1958 წლის პირველი ნახევრის სახელმწიფო გეგმის შესრულების შედეგების შესახებ

## სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს ცნობა

მრეწველობის, სოფლის მეურნეობისა და ტრანსპორტის განვითარება, კაპიტალური მშენებლობა, მუშებისა და მოსამსახურეების რიცხვის ცვლილება, შრომის ნაყოფიერების ზრდა, ხალხის მატერიალური კეთილდღეობისა და კულტურული დონის ამაღლება 1958 წლის პირველ ნახევარში ხასიათდება შემდეგი მონაცემებით.

## I

## მ რ ე წ ვ ე ლ ო ბ ა

1958 წლის პირველ ნახევარში მრეწველობისა და მშენებლობის მართვის გარდაქმნის შედეგად მიღწეულია შემდგომი წარმატება სამრეწველო წარმოების განვითარებაში.

**მრეწველობის საერთო პროდუქციის წლის პირველი ნახევრის გეგმა შესრულებულია 104 პროცენტით. 1957 წლის პირველ ნახევართან შედარებით სამრეწველო პროდუქციის წარმოება გადიდდა 10,5 პროცენტით.**

**ყველა მოკავშირე რესპუბლიკამ გადაჭარბებით შეასრულა საერთო პროდუქციისა და მეტწილ უმნიშვნელოვანეს სახეობათა პროდუქციის გამოშვების წლის პირველი ნახევრის გეგმა. გეგმა მთლიანად და გადაჭარბებით შეასრულა ყველა სახალხო მეურნეობის საბჭომ, სახალინის სახალხო მეურნეობის საბჭოს გარდა.**

წარმოების გეგმის შესრულება და მრეწველობის საერთო პროდუქციის ზრდა ცალკეულ მოკავშირე რესპუბლიკებში ხასიათდება შემდეგი მონაცემებით:

| | 1958 წლის პირველი ნახევრის გეგმის შესრულება პროცენტობით | 1958 წლის პირველი ნახევარი პროცენტობით 1957 წლის პირველ ნახევართან შედარებით |
|---|---|---|
| რუსეთის სფსრ | 104 | 110 |
| უკრაინის სსრ | 103 | 111 |
| ბელორუსიის სსრ | 103 | 111 |
| უზბეკეთის სსრ | 103 | 105 |
| ყაზახეთის სსრ | 104 | 112 |
| საქართველოს სსრ | 107 | 111 |
| აზერბაიჯანის სსრ | 102 | 108 |
| ლიტვის სსრ | 107 | 115 |
| მოლდავეთის სსრ | 109 | 118 |
| ლატვიის სსრ | 107 | 112 |
| ყირგიზეთის სსრ | 102 | 109 |
| ტაჯიკეთის სსრ | 103 | 112 |
| სომხეთის სსრ | 105 | 113 |
| თურქმენეთის სსრ | 104 | 113 |
| ესტონეთის სსრ | 105 | 110 |

სახელმწიფო მრეწველობის ცალკეული დარგების მთლიანი პროდუქცია გადიდდა შემდეგნაირად:

| | 1958 წლის პირველი ნახევარი პროცენტობით 1957 წლის პირველ ნახევართან შედარებით |
|---|---|
| შავი და ფერადი მეტალურგია | 109 |
| სათბობისა და ენერგეტიკული მრეწველობა | 110 |
| მანქანათმშენებლობა და ლითონდამუშავება | 114 |
| ქიმიური და რეზინის მრეწველობა | 113 |
| საშენ მასალათა მრეწველობა | 126 |
| ხე-ტყის, ქაღალდისა და ხისდამმუშავებელი მრეწველობა | 111 |
| მსუბუქი მრეწველობა | 107 |
| კვების მრეწველობა | 105 |

**ბევრ უმნიშვნელოვანეს სახეობათა სამრეწველო პროდუქციის წარმოების 1958 წლის პირველი ნახევრის გეგმა შესრულებულია ვადამდე.**

| | წლის პირველი ნახევრის წარმოების გეგმა ვადამდე შესრულდა |
|---|---|
| ფოლადი, ნაგლინი და რკინის მადანი | 27 ივნისს |
| თ უ ჯ ი | 29 ივნისს |
| კ ა ლ ა | 21 ივნისს |
| თ უ თ ი ა | 23 ივნისს |
| რაფინირებული სპილენძი | 24 ივნისს |
| ტყვია და ალუმინი | 27 ივნისს |
| ნ ი კ ე ლ ი | 28 ივნისს |
| ქვანახშირი | 27 ივნისს |
| ნ ა ვ თ ო ბ ი | 28 ივნისს |
| მინერალური სასუქები | 21 ივნისს |
| სინთეზური ამიაკი და კაუსტიკური სოდა | 24 ივნისს |
| ავტომობილის საბურები | 25 ივნისს |
| გოგირდმჟავა | 26 ივნისს |
| კაუჩუკი და კალცინირებული სოდა | 28 ივნისს |
| ც ე მ ე ნ ტ ი | 28 ივნისს |

**გადაჭარბებით შესრულებულია აგრეთვე მძიმე მრეწველობის ბევრ სხვა უმნიშვნელოვანეს სახეობათა პროდუქციის ნახევარი წლის გეგმა:** გაზის, ფიქალების მოპოვების, კოქსის, ფოლადის მილების, მოლიბდენის პროდუქციის, მაგნიუმის, კობალტის, ტიტანის, ვერცხლისწყლის, ბენზინის, დიზელის სათბობის, სათბობი მაზუთის, ქვანახშირის ბრიკეტების, ელექტროენერგიის, ქიმიური მოწყობილობის, ორთქლის ტურბინების, ელექტროძრავების, ელექტროვაკუუმური ხელსაწყოების, ცალკეულ სახეობათა კაბელის ნაწარმის, ლითონსაჭრელი ჩარხების, სამჭედლო-საწნეხე მანქანების, სატვირთო და მსუბუქი ავტომობილების, ავტობუსების, ბურთობ და გორგოლაჭოვან საკისარების, ტრაქტორების, ტრაქტორის გუთნების, მარცვალსაწმენდი მანქანების, მაგისტრალური თბომავლების, სატვირთო და სამგზავრო მაგისტრალური ვაგონების, ექსკავატორების, ავტოგრეიდერების, აზბესტის, ფანჯრის მინის, ასაწყობი რკინაბეტონის კონსტრუქციებისა და დეტალების, რბილი სახურავის, დაწებებული ფანერის, ცელულოზის, მუყაოსა და სხვა სახეობათა პროდუქციის წარმოების, აგრეთვე სამასალე მერქნის გამოზიდვის ნახევარი წლის გეგმები.

**ვადამდე შესრულებულია ფართო მოხმარების ბევრი უმნიშვნელოვანესი საქონლის წარმოების 1958 წლის პირველი ნახევრის გეგმა.** 25 ივნისისათვის შესრულებულია ხელოვნური და სინთეზური ბოჭკოს, ქაღალდის, შალისა და სელის ქსოვილების, ტრიკოტაჟის საცვლებისა და ზედა ტრიკოტაჟის, ფეხსაცმლის წარმოების ნახევარი წლის გეგმა. აბრეშუმის ქსოვილების წარმოების გეგმა შესრულებულია 26 ივნისს, ბამბის ქსოვილებისა — 27 ივნისს, წინდის ნაწარმის — 28 ივნისს. გადაჭარბებით შესრულებულია თევზჭერის ნახევარი წლის გეგმა. ნახევარი წლის გეგმის გადაჭარბებით ნაწარმოებია აგრეთვე ისეთ სახეობათა პროდუქცია, როგორიც არის: ფოტოაპარატები, რადიომიმღებები, ტელევიზორები, პიანინოები და როიალები, საათები, ავეჯი, მტვერსასრუტები, მოტოციკლები, ველოსიპედები, ძეხვეული, კონსერვები, საკონდიტრო ნაწარმი, ჩაი, ყურძნის ღვინო, შამპანური, პაპიროსი, საპონი და ფართო მოხმარების სხვა საქონელი.

გადაჭარბებით შესრულებულია სინთეზური ფისებისა და პლასტიკური მასების ძირითად სახეობათა, აგრეთვე ხელოვნური და სინთეზური ბოჭკოების წარმოების 1958 წლის პირველი ნახევრის გეგმა. ამ სახეობათა პროდუქციის წარმოება წლის პირველ ნახევარში მნიშვნელოვნად გადიდდა გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით. ქიმიური მრეწველობის საწარმოებში გაჩაღდა დიდი მუშაობა ქიმიური მრეწველობის განვითარების დაჩქარების შესახებ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის 1958 წლის მაისის პლენუმის გადაწყვეტილებათა შესასრულებლად.

მთლიანად სსრ კავშირში მეტ წილ სახეობათა სამრეწველო პროდუქციის ხაზით დავალებათა შესრულებისას წლის პირველ ნახევარში შესრულებული არ არის ზოგიერთი დიდმნიშვნელოვანი სახეობის პროდუქციის წარმოების გეგმა: მეტალურგიული მოწყობილობის, ნავთობაპარატურის, სტანდარტული სახლებისა და სტანდარტული და ტიპობრივი სახლების დეტალების კომპლექტების წარმოების გეგმა, თუმცა პროდუქციის ყველა ამ სახეობის წარმოებაში იყო ზრდა 1957 წლის პირველ ნახევართან შედარებით.

მეტალურგიული მოწყობილობის წარმოების გეგმა შესრულებული არ არის უკრაინის სს რესპუბლიკაში; ნავთობაპარატურისა — რუსეთის სფს რესპუბლიკაში, უკრაინის სს და აზერბაიჯანის სს რესპუბლიკებში; სტანდარტული სახლებისა — რუსეთის სფს რესპუბლიკაში და ლატვიის სს რესპუბლიკაში; სტანდარტული და ტიპობრივი სახლების დეტალების კომპლექტებისა — რუსეთის სფს რესპუბლიკაში, ბელორუსიის სს რესპუბლიკაში, უზბეკეთის სს რესპუბლიკასა და ყაზახეთის სს რესპუბლიკაში.

ძირითად სახეობათა სამრეწველო პროდუქციის წარმოება 1958 წლის პირველ ნახევარში ხასიათდება შემდეგი მონაცემებით:

| | წარმოებულია 1958 წლის პირველ ნახევარში | 1958 წლის პირველი ნახევარი პროცენტობით 1957 წლის პირველ ნახევართან შედარებით |
|---|---|---|
| თუჯი — მილიონობით ტონა | 19,3 | 106 |
| ფოლადი — მილიონობით ტონა | 27,0 | 108 |
| ნაგლინი — მილიონობით ტონა | 21,3 | 108 |
| ფოლადის მილები — მილიონობით ტონა | 2,2 | 106 |
| კოქსი — მილიონობით ტონა | 25,0 | 106 |
| რკინის მადანი — მილიონობით ტონა | 43,2 | 105 |
| ქვანახშირი—მილიონობით ტონა | 245 | 108 |
| აქედან საკოქსე ქვანახშირი | 46 | 108 |
| ქვანახშირის ბრიკეტები — მილიონობით ტონა | 2,3 | 124 |
| ფიქალები—მილიონობით ტონა | 6,5 | 107 |
| ნავთობი — მილიონობით ტონა | 54,0 | 117 |
| ბუნებრივი გაზი — მილიარდობით კუბური მეტრი | 13,1 | 161 |
| ელექტროენერგია — მილიარდობით კილოვატსაათი | 114 | 111 |
| აქედან ჰიდროელექტროენერგია | 23,5 | 118 |
| მინერალური სასუქები — მილიონობით ტონა | 6,2 | 108 |
| კალცინირებული სოდა — ათასობით ტონა | 844 | 106 |
| გოგირდმჟავა — მილიონობით ტონა | 2,4 | 106 |
| ავტომობილის საბურები — მილიონობით ცალი | 7,1 | 115 |
| მეტალურგიული მოწყობილობა — ათასობით ტონა | 86,8 | 106 |
| ქიმიური მოწყობილობა — მილიარდობით მანეთი | 0,5 | 117 |
| ნავთობაპარატურა — ათასობით ტონა | 35,3 | 129 |
| ორთქლის, გაზისა და ჰიდრავლიკური ტურბინები — მილიონობით კილოვატი | 3,2 | 117 |
| ორთქლის, გაზისა და ჰიდრავლიკური ტურბინების გენერატორები — მილიონობით კილოვატი | 2,4 | 91 |
| დიდი ელექტრომანქანები—ათასობით ცალი | 2,8 | 115 |
| ელექტროძრავები — მილიონობით ცალი | 1,1 | 110 |
| ელექტროვაკუუმური ხელსაწყოები — მილიონობით ცალი | 55 | 112 |
| ლითონსაჭრელი ჩარხები—ათასობით ცალი | 69 | 103 |
| სამჭედლო-საწნეხე მანქანები — ათასობით ცალი | 12,5 | 112 |
| ავტომობილები — ათასობით ცალი | 255 | 104 |
| აქედან: | | |
| სატვირთო ავტომობილები და ავტობუსები | 194 | 102 |
| მსუბუქი ავტომობილები | 61 | 112 |
| ბურთობ და გორგოლაჭიანი საკისარები — მილიონობით ცალი | 157 | 110 |
| ტრაქტორები — ათასობით ცალი (ფიზიკური ერთეულები) | 109 | 108 |
| აქედან სათოხნი ტრაქტორები | 56 | 107 |
| ტრაქტორის გუთნები — ათასობით ცალი | 70 | 113 |
| აქედან საკიდი გუთნები | 39 | 209 |
| ტრაქტორის სათესი მანქანები—ათასობით ცალი | 111 | 79 |
| აქედან საკიდი სათესი მანქანები | 15 | 207 |
| ტრაქტორის სათიბი მანქანები — ათასობით ცალი | 37 | 230 |
| აქედან საკიდი სათიბი მანქანები | 12 | 149 |
| მარცვალსაწმენდი მანქანები — ათასობით ცალი | 6,0 | 131 |
| მაგისტრალური თბომავლები — ცალობით | 320 | 213 |
| მაგისტრალური ელექტრომავლები — ცალობით | 176 | 132 |
| მაგისტრალური სატვირთო ვაგონები — ათასობით ცალი | 20,3 | 107 |
| სამგზავრო მაგისტრალური ვაგონები — ცალობით | 963 | 105 |
| ტროლეიბუსები — ცალობით | 240 | 111 |
| ექსკავატორები — ათასობით ცალი | 5,1 | 116 |
| ავტოგრეიდერები — ათასობით ცალი | 1,3 | 134 |
| საქსოვი დაზგები — ათასობით ცალი | 7,0 | 83 |
| სამასალე მერქნის გამოზიდვა (კოლმეურნე და წვრილი ხეტყისდამამზადებლების მიერ გამოუზიდავად) — მილიონობით კუბური მეტრი | 115 | 108 |
| ცემენტი — მილიონობით ტონა | 15,9 | 116 |
| შიფერი — მილიონობით პირობითი ფილა | 1.160 | 111 |
| ფანჯრის მინა — მილიონობით კვადრატული მეტრი | 66,3 | 114 |
| რბილი სახურავი — მილიონობით კვადრატული მეტრი | 315 | 111 |
| აგური (კოლმეურნეობათა მიერ წარმოებულის გარდა) — მილიარდობით ცალი | 12 | 117 |
| ასაწყობი რკინაბეტონის კონსტრუქციები და დეტალები — მილიონობით კუბური მეტრი ნაწარმი | 8 | 142 |
| სტანდარტული სახლები, დეტალების კომპლექტები ადგილობრივი საშენი მასალების კედლებიანი სტანდარტული და ტიპობრივი სახლებისათვის — მილიონობით კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართობი | 4,2 | 122 |
| ხელოვნური და სინთეზური ბოჭკო — ათასობით ტონა | 82 | 112 |
| ბამბის ქსოვილები — მილიარდობით მეტრი | 2,9 | 103 |
| შალის ქსოვილები — მილიონობით მეტრი | 146 | 107 |
| სელის ქსოვილები — მილიონობით მეტრი | 239 | 113 |
| აბრეშუმის ქსოვილები — მილიონობით მეტრი | 419 | 108 |
| წინდის ნაწარმი — მილიონობით წყვილი | 439 | 105 |
| ტრიკოტაჟის საცვლები — მილიონობით ცალი | 193 | 106 |
| ზედა ტრიკოტაჟი — მილიონობით ცალი | 47 | 108 |
| ტყავის ფეხსაცმელი — მილიონობით წყვილი | 175 | 112 |
| ქეჩის ფეხსაცმელი — მილიონობით წყვილი | 13,9 | 109 |
| ყველა სახეობის საათები — მილიონობით ცალი | 12,1 | 102 |
| ფოტოაპარატები — ათასობით ცალი | 708 | 112 |
| რადიომიმღებნი — მილიონობით ცალი | 2,0 | 112 |
| ტელევიზორები — ათასობით ცალი | 459 | 137 |
| საყოფაცხოვრებო მაცივრები — ათასობით ცალი | 181 | 123 |
| სარეცხი მანქანები — ათასობით ცალი | 250 | 150 |
| მტვერსასრუტები — ათასობით ცალი | 114 | 100,5 |
| საყოფაცხოვრებო საკერავი მანქანები — მილიონობით ცალი | 1,3 | 116 |
| მოტოციკლები და მოტოროლერები ათასობით ცალი | 190 | 119 |
| ველოსიპედები და მოტოველოსიპედები—მილიონობით ცალი | 1,8 | 116 |
| პიანინოები და როიალები — ათასობით ცალი | 31,9 | 121 |
| ქაღალდი — მილიონობით ტონა | 1,1 | 107 |
| ავეჯი (ლითონის საწოლების გარდა) — მილიარდობით მან. | 3,5 | 120 |
| ლითონის საწოლები — მილიონობით ცალი | 5,9 | 109 |
| ხორცი (კოლმეურნეობების წარმოების და მოსახლეობის მიერ ოჯახური წარმოების და თავისი ნედლეულის გარდა) — მილიონობით ტონა | 0,7 | 111 |
| ძეხვის ნაწარმი — მილიონობით ტონა | 0,5 | 112 |
| თევზი — მილიონობით ტონა | 1,4 | 108 |
| ერბო-კარაქი, ყველი და რძის სხვა ნაწარმი რძეზე გადაანგარიშებით (კოლმეურნეობათა მიერ წარმოებულისა და მოსახლეობის მიერ ოჯახში წარმოებულის გარდა) — მილიონობით ტონა | 9,8 | 103 |
| საკონდიტრო ნაწარმი — ათასობით ტონა | 842 | 106 |
| კონსერვები (სახალხო მეურნეობის საბჭოების და ადგილობრივი საბჭოების მრეწველობის ხაზით) — მილიონობით პირობითი ქილა | 1.123 | 109 |
| ყურძნის ღვინო (კოლმეურნეობათა მიერ წარმოებულის გარდა) მილიონობით დეკალიტრი | 23,8 | 118 |
| შამპანური — მილიონობით ბოთლი | 15,9 | 107 |
| ჩაი — ათასობით ტონა | 24,6 | 104 |
| საპონი — მილიონობით ტონა | 0,7 | 105 |
| პაპიროსი — მილიარდობით ცალი | 119 | 110 |

1958 წლის პირველ ნახევარში გადიდდა აგრეთვე სხვა სახეობათა სამრეწველო პროდუქციის წარმოება, კერძოდ, ფერადი ლითონების — სპილენძის, ალუმინის, ტყვიის, თუთიის, მოლიბდენის პროდუქციის, მაგნიუმის, კალის, ტიტანის წარმოება, ნავთობპროდუქტების, სინთეზური კაუჩუკისა და ამიაკის, კაუსტიკური სოდისა და სხვა სახეობათა პროდუქციის წარმოება.

გაუმჯობესდა მოქმედ სიმძლავრეთა გამოყენება მრეწველობაში.

შავი მეტალურგიის საწარმოებში ბრძმედების მარგი მოცულობის გამოყენების კოეფიციენტი და მარტენის ღუმელების ქვედის ერთ კვადრატულ მეტრ ფართობზე ფოლადის მიღება 1957 წლის პირველ ნახევართან შედარებით გაუმჯობესდა 3 პროცენტით. ნავთობის მრეწველობაში გადიდდა საექსპლოატაციო ბურღვის სიჩქარე. ქვანახშირის მრეწველობაში გადიდდა სანგრევთა მოქმედი საწმენდი ხაზის საშუალო სადღეღამისო წაწევა, მაგრამ საგეგმო დავალება არ არის მთლიანად შესრულებული. რაიონულ ელექტროსადგურებში გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 3 პროცენტით შემცირდა პირობითი სათბობის ხვედრითი ხარჯვა.

მანქანათსაშენებელ საწარმოებში გადიდდა დიდი წარმადობის მანქანებისა და მოწყობილობის გამოშვება, ამზადებდნენ და ნერგავდნენ ავტომატურ, ნახევრად ავტომატურ და მექანიზებულ ნაკადურ ხაზებს, ამუშავებდნენ და ამზადებდნენ ახალი ტიპების მანქანათა, მოწყობილობისა და ხელსაწყოების ნიმუშებს სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგისათვის, ხორციელდებოდა წარმოების შემდგომი სპეციალიზაციისა და კოოპერირების ღონისძიებანი.

მაგრამ არსებული შესაძლებლობანი ჯერ კიდევ მთლიანად როდია გამოყენებული. მრეწველობაში ნელა ვითარდება წარმოების კომპლექსური მექანიზაცია და ავტომატიზაცია, მთელმა რიგმა საწარმოებმა წლის პირველ ნახევარში ვერ შეასრულეს ახალი ტექნიკის განვითარებისა და დანერგვის დაწესებული დავალებანი.

მიმდინარე წლის პირველ ნახევარში 900 ათასამდე გამომგონებელმა და რაციონალიზატორმა შეიტანა 1 მილიონ 300 ათასი წინადადება. ამავე პერიოდში სახალხო მეურნეობაში დაინერგა 750 ათასზე მეტი გამოგონება და რაციონალიზატორული წინადადება.

**შესრულებულია 1958 წლის პირველი ნახევრისათვის დაწესებული დავალებანი სამრეწველო პროდუქციის თვითღირებულების შემცირებისა და ერთი მანეთის სასაქონლო პროდუქციაზე ხარჯების დონის მხრივ.** შესადარი სასაქონლო პროდუქციის თვითღირებულების შემცირება შესადარ ფასებში გასულ წელთან შედარებით შეადგენს დაახლოებით ორ პროცენტს. მაგრამ ბევრი საწარმო ჯერ კიდევ ვერ ასრულებს თვითღირებულების შემცირების დავალებებს. მრეწველობაში ჯერ კიდევ მნიშვნელოვანია დანაკარგები წუნის გამო.

## II

## ს ო ფ ლ ი ს მ ე უ რ ნ ე ო ბ ა

საკოლმეურნეო წყობილების შემდგომი განვითარებისა და მტს-ების რეორგანიზაციის ღონისძიებებმა, რომლებსაც პარტია და მთავრობა ახორციელებენ, უზრუნველჰყვეს კოლმეურნე გლეხობის ინიციატივისა და აქტივობის ახალი აღმავლობა. ამის შედეგად **წარმატებით განხორციელდა საგაზაფხულო თესვა და გადაჭარბებით შესრულდა საშემოდგომო კულტურების თესვის გეგმა, მიუხედავად დაგვიანებული გაზაფხულისა.**

1958 წლის მოსავლის ყველა სასოფლო-სამეურნეო კულტურის ნათესი ფართობი შეადგენს 195 მილიონ ჰექტარზე მეტს და შარშანდელთან შედარებით მილიონნახევარი ჰექტარით და მეტით გადიდდა. მეტი, ვიდრე 1957 წელს, დაითესა სიმინდი, შაქრის ჭარხალი, ბამბა, მზესუმზირა და საკვები კულტურები.

**ნათესების მდგომარეობის მიხედვით, ჩვენს ქვეყანაში მოსალოდნელია სასოფლო-სამეურნეო კულტურების კარგი მოსავალი, განსაკუთრებით ციმბირის, ყაზახეთის, ვოლგისპირეთის მარცვლეულის ძირითად რაიონებში, აგრეთვე ჩრდილოეთ კავკასიაში, უკრაინაში და ჩვენი ქვეყნის მთელ რიგ სხვა რაიონებში.**

პროდუქტიული პირუტყვის სულადობა კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში გადიდდა შემდეგნაირად:

| | საზოგადოებრივი პირუტყვის რაოდენობა კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში 1958 წლის 1 ივლისისათვის — მილიონობით სული | პროცენტობით 1957 წლის 1 ივლისთან შედარებით |
|---|---|---|
| მსხვილფეხა რქიანი პირუტყვი | 43,8 | 111 |
| აქედან ძროხა | 13,9 | 107 |
| ღ ო რ ი | 34,3 | 111 |
| ცხვარი და თხა | 119,3 | 107 |

1957 წლის 1 ივლისთან შედარებით ყველა სახეობის პროდუქტიული პირუტყვის სულადობა კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში გადიდდა: მსხვილფეხა რქიანი პირუტყვისა — 4,5 მილიონი სულით, აქედან ძროხისა 0,9 მილიონი სულით; ღორის სულადობა გადიდდა 3,3 მილიონი სულით, ცხვრის და თხის — 8,3 მილიონი სულით. ფრინველის რაოდენობა გადიდდა 15 პროცენტით. გადიდდა კოლმეურნეთა, მუშათა და მოსამსახურეთა პირად სარგებლობაში მყოფი ძროხის, ღორისა და ცხვრის სულადობა.

**გაფართოვდა ღორის გასუქება. კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში გასუქებულია 30 პროცენტით მეტი ღორი, ვიდრე 1957 წლის პირველ ნახევარში.**

კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში მეცხოველეობის პროდუქტების წარმოების ზრდამ შესაძლო გახადა ამ პროდუქტების სახელმწიფო დამზადებისა და შესყიდვის მნიშვნელოვნად გადიდება. **1958 წლის პირველ ნახევარში მნიშვნელოვანი გადამეტებით შესრულდა ხორცის, მატყლისა და კვერცხის სახელმწიფო დამზადებისა და შესყიდვის გეგმა. კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში მეცხოველეობის პროდუქტების სახელმწიფო დამზადება და შესყიდვა 1957 წლის ამავე პერიოდთან შედარებით გადიდდა: პირუტყვისა — 25 პროცენტით, რძისა — 9 პროცენტით, კვერცხისა — 15 პროცენტით და მატყლისა — 18 პროცენტით.** ამან შესაძლებელი გახადა დამზადებისა და შესყიდვის გადიდება მთლიანად ჩვენს ქვეყანაში, მიუხედავად იმისა, რომ 1958 წლის 1 იანვრიდან კოლმეურნეთა, აგრეთვე მუშათა და მოსამსახურეთა პირადი დამხმარე მეურნეობანი განთავისუფლებული არიან სახელმწიფოსათვის სოფლის მეურნეობის პროდუქტების სავალდებულო ჩაბარებისაგან.

1958 წლის პირველ ნახევარში სოფლის მეურნეობამ მიიღო ბევრი სასოფლო-სამეურნეო მანქანა და კერძოდ:

| | მიწოდებულია მანქანა — ათასობით |
|---|---|
| ტრაქტორი (15-ძალიანზე გადაყვანით) | 131 |
| სატვირთო ავტომობილი | 57 |
| მარცვლეულის კომბაინი | 35 |
| მწკრივად სამკალი | 22 |
| მარცვლეული კომბაინის ამლაგებელი მარცვლეულის მოსავლის ცალ-ცალკე აღებად | 36 |
| სიმინდის მოსავლის ასაღები კომბაინი | 5,4 |
| სასილოსე კულტურების მოსავლის ასაღები კომბაინი | 23 |
| ტრაქტორის გუთანი | 65 |
| მათ შორის საკიდი | 36 |
| ტრაქტორის სათესელა | 111 |
| მათ შორის საკიდი | 13 |
| ტრაქტორის კულტივატორი | 87 |
| მათ შორის საკიდი | 45 |
| ტრაქტორის სათიბელა | 37 |
| მათ შორის საკიდი | 12 |
| ტრაქტორის ფოცხი | 3,4 |
| მარცვალსაწმენდი მანქანა | 6,1 |
| მარცვალსახმობი | 5,9 |

(დასასრული მე-8 გვ.)

# სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1958 წლის პირველი ნახევრის სახელმწიფო გეგმის შესრულების შედეგების შესახებ

## სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს ცნობა

(დასასრული)

შესაბამისად სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მიერ მიღებული კანონისა „საკოლმეურნეო წყობილების შემდგომი განვითარებისა და მანქანა-ტრაქტორთა სადგურების რეორგანიზაციის შესახებ" კოლმეურნეობათა 65 პროცენტმა ა. წ. 1 ივლისისათვის უკვე იყიდა მტს-ებისაგან მათთვის საჭირო ტექნიკა. კოლმეურნეობებმა შეიძინეს 406 ათასი ტრაქტორი, 137 ათასი კომბაინი და ბევრი სხვა მანქანა. ივნისში კოლმეურნეობებმა თავისი ტრაქტორებით შეასრულეს მთელ იმ სატრაქტორო სამუშაოთა მოცულობის 73 პროცენტი, რომლებიც შეასრულეს სარემონტო-ტექნიკურმა სადგურებმა, მტს-ებმა და კოლმეურნეობებმა ერთად.

## III

## ტ რ ა ნ ს პ ო რ ტ ი

გეგმის შესრულება ტრანსპორტის ცალკეულ სახეობათა მიხედვით ხასიათდება შემდეგი მონაცემებით:

| | 1958 წლის I ნახევრის გეგმის შესრულების პროცენტი | 1958 წლის I ნახევარი პროცენტობით 1957 წლის I ნახევართან შედარებით |
|---|---|---|
| რკინიგზის ტრანსპორტის ტვირთბრუნვა | 102 | 106 |
| ტვირთის გადაზიდვა რკინიგზის ტრანსპორტით | 105 | 110 |
| ტვირთის გადაზიდვა საზღვაო ტრანსპორტით კაბოტაჟური ნაოსნობის დროს | 107 | 108 |
| საერთო სარგებლობის სამდინარო ტრანსპორტის ტვირთბრუნვა | 105 | 116 |
| საერთო სარგებლობის საავტომობილო ტრანსპორტის ტვირთბრუნვა | 99,6 | 117 |
| ნავთობსადენი ტრანსპორტის ტვირთბრუნვა | 103 | 128 |
| საჰაერო ტრანსპორტის ტვირთბრუნვა | | |
| მგზავრთა გადაყვანა საჰაერო ტრანსპორტით | 116 | 168 |

საზღვარგარეთ ნაოსნობისას საზღვაო ტრანსპორტით ტვირთზიდვის გეგმა შესრულებულია გადაჭარბებით. საზღვაო ტრანსპორტის ტვირთბრუნვა ყველა სახეობის ნაოსნობაში 1957 წლის პირველ ნახევართან შედარებით გადიდდა 19 პროცენტით.

რკინიგზების მოძრავი შემადგენლობა შეივსო ახალი ელექტრომავლებით, თბომავლებით და დიდტვირთულობის ვაგონებით. ელექტრომავლებითა და თბომავლებით ტვირთის გადაზიდვა გასული წლის პირველ ნახევართან შედარებით გადიდდა დაახლოებით 37 პროცენტით.

განვლილ ნახევარ წელიწადში შესრულებულია დავალებანი რკინიგზის ტრანსპორტის მოძრავი შემადგენლობის გამოყენების ძირითადი მაჩვენებლების მიხედვით, როგორიც არის: სატვირთო ვაგონის ბრუნვის დროის, ტექნიკურ სადგურებზე და სატვირთო ოპერაციებში ვაგონების მოცდენის დროის შემცირება, მატარებლის წონისა და სატვირთო მატარებლების მოძრაობის კომერციული (საუბნო) სიჩქარის გადიდება.

## IV

## კ ა პ ი ტ ა ლ უ რ ი მ შ ე ნ ე ბ ლ ო ბ ა

კაპიტალურ დაბანდებათა გეგმის შესრულება და მათი ზრდის ტემპი ხასიათდება შემდეგი მონაცემებით:

| | 1958 წლის I ნახევრის გეგმის შესრულების პროცენტი | 1958 წლის I ნახევარი პროცენტობით 1957 წლის I ნახევართან შედარებით |
|---|---|---|
| კაპიტალურ დაბანდებათა მოცულობა | 93 | 111 |
| მათ შორის სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოები | 100,9 | 113 |

კაპიტალური დაბანდებანი გასული წლის პირველ ნახევართან შედარებით გადიდდა: შავ მეტალურგიაში — 28 პროცენტით, ფერად მეტალურგიაში — 11 პროცენტით, ნავთობისა და გაზის მრეწველობაში — 22 პროცენტით, ელექტროსადგურებში — 6 პროცენტით, მანქანათმშენებლობაში — 10 პროცენტით, ქიმიურ მრეწველობაში — 27 პროცენტით, საშენ მასალათა მრეწველობაში — 30 პროცენტით, ხე-ტყის, ქაღალდისა და ხისდამამუშავებელ მრეწველობაში — 7 პროცენტით.

კაპიტალური დაბანდებანი მსუბუქ და კვების მრეწველობაში ამ პერიოდში გადიდდა 23 პროცენტით, რკინიგზის ტრანსპორტზე — 21 პროცენტით, საბინაო მშენებლობაში — 19 პროცენტით.

კაპიტალდაბანდებათა ზრდა მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების საქვეუწყებო საწარმოებსა და ორგანიზაციებში ხასიათდება შემდეგი მონაცემებით:

| | კაპიტალურ დაბანდებათა მოცულობა 1958 წლის I ნახევარში პროცენტობით 1957 წლის I ნახევართან შედარებით |
|---|---|
| რუსეთის სფსრ | 112 |
| უკრაინის სსრ | 104 |
| ბელორუსიის სსრ | 106 |
| უზბეკეთის სსრ | 116 |
| ყაზახეთის სსრ | 110 |
| საქართველოს სსრ | 114 |
| აზერბაიჯანის სსრ | 116 |
| ლიტვის სსრ | 111 |
| მოლდავეთის სსრ | 110 |
| ლატვიის სსრ | 110 |
| ყირგიზეთის სსრ | 123 |
| ტაჯიკეთის სსრ | 130 |
| სომხეთის სსრ | 133 |
| თურქმენეთის სსრ | 131 |
| ესტონეთის სსრ | 110 |

განვლილ ნახევარ წელიწადში სახალხო მეურნეობის ყველა დარგში ამუშავდა ახალი საწარმოო სიმძლავრეები. შესრულებულია მარტენის ღუმელებისა და საგლინავი დგანების ამუშავების გეგმა. ამუშავდა 20 ქვანახშირის შახტი და ჭრილი. გადაჭარბებით შესრულებულია ახალი საქსოვი დაზგების დადგმის გეგმა.

ამავე დროს სახალხო მეურნეობის მთელ რიგ დარგებში 1958 წლის პირველ ნახევარში საწარმოო სიმძლავრეთა ამუშავების გეგმა არ არის მთლიანად შესრულებული. კერძოდ არ არის შესრულებული სიმძლავრეთა ამუშავების გეგმა სამთამადნო, ქვანახშირისა და ცემენტის მრეწველობაში, აგრეთვე ტურბინიანი ელექტროსადგურების სიმძლავრეთა ამუშავების გეგმა.

სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა ნახევარი წლის გეგმა მეიჯარე ორგანიზაციებმა შეასრულეს 101 პროცენტით, ხოლო საიჯარო სამუშაოთა მოცულობა 1957 წლის პირველ ნახევართან შედარებით გადიდდა 13 პროცენტით. მაგრამ სამშენებლო სამუშაოთა ორგანიზაციაში ჯერ კიდევ არის ნაკლოვანებები, რის შედეგად ზოგიერთი სამრეწველო და კულტურულ-საყოფაცხოვრებო ობიექტის მშენებლობა მთელ რიგ შემთხვევებში ხანგრძლივი ვადით ჭიანურდება, რაც იწვევს ასამუშავებელი ობიექტების ამუშავების ვადების შეუსრულებლობას და დაუმთავრებელი მშენებლობის მოცულობის ზრდას.

მრეწველობისა და მშენებლობის მართვის განხორციელებულ რეორგანიზაციასთან დაკავშირებით ფართოდ ინერგება მშენებლობისა და სამშენებლო სამუშაოთა კომპლექსური მექანიზაციის ინდუსტრიული მეთოდები. მნიშვნელოვნად გაიზარდა მშენებლობაში ქარხნული წარმოების მზა კონსტრუქციებისა და დეტალების გამოყენება. მშენებლობაში გადიდდა ტიპობრივი პროექტების გამოყენება, მაგრამ მთავრობის მიერ დადგენილი დავალებანი ტიპობრივი პროექტების გამოყენების შესახებ მთელ რიგ ქალაქებში არადამაკმაყოფილებლად სრულდება.

**1958 წლის პირველ ნახევარში სამშენებლო ორგანიზაციებმა სამშენებლო და სამონტაჟო სამუშაოთა თვითღირებულება 1957 წლის პირველი ნახევრის დონესთან შედარებით 1,5 პროცენტით შეამცირეს.**

## V

## მუშებისა და მოსამსახურეების რიცხვი და შრომის ნაყოფიერების ზრდა

მუშებისა და მოსამსახურეების რიცხვი სსრ კავშირის სახალხო მეურნეობაში 1958 წლის პირველი ნახევრის დამლევისათვის გაიზარდა 1 მილიონი კაცით გასული წლის პირველი ნახევრის დამლევთან შედარებით.

ამასთან მრეწველობაში, მშენებლობაში, საბჭოთა მეურნეობებში, ტრანსპორტზე და კავშირგაბმულობაში მუშების, აგრეთვე ინჟინერ-ტექნიკური მუშაკებისა და სხვა სპეციალისტების რიცხვი გაიზარდა 1 მილიონ 500 ათასი კაცით. მანქანა-ტრაქტორთა სადგურების მუშაკთა რიცხვი ამ პერიოდში შემცირდა, რადგან მანქანა-ტრაქტორთა სადგურების რეორგანიზაციასთან დაკავშირებით მტს-ებიდან კოლმეურნეობებში სამუშაოდ გადავიდა სატრაქტორო ბრიგადების დაახლოებით ერთი მილიონი მუშა. სკოლების, სასწავლებლების, სამეცნიერო-საკვლევი, კულტურულ-საგანმანათლებლო, სამკურნალო და სანატორიულ-საკურორტო დაწესებულებების მუშაკთა რიცხვი გაიზარდა 300 ათასი კაცით, ვაჭრობის, საბინაო-კომუნალური მეურნეობის მუშაკთა რიცხვი — თითქმის 200 ათასი კაცით.

განვლილ ნახევარ წელიწადში ტექნიკური სასწავლებლები, სახელოსნო, რკინიგზისა და სამთო-სამრეწველო სასწავლებლები, საფაბრიკო-საქარხნო სწავლების, სამშენებლო და სამთო-სამრეწველო სკოლები, სოფლის მეურნეობის მექანიზაციის სასწავლებლები დაამთავრა და მრეწველობაში, მშენებლობაში, ტრანსპორტზე და სოფლის მეურნეობაში სამუშაოდ გაიგზავნა 300 ათასი კაცი. ინდივიდუალურ-ბრიგადული მოწაფეობისა და საკურსო სწავლების გზით წლის პირველ ნახევარში კვალიფიკაცია აიმაღლა და ახალი პროფესიები შეისწავლა 3 მილიონ 600 ათასმა მუშამ და მოსამსახურემ.

**შრომის ნაყოფიერების ზრდის გეგმა მრეწველობასა და მშენებლობაში 1958 წლის პირველ ნახევარში გადაჭარბებით შესრულდა.**

მრეწველობაში მუშათა შრომის ნაყოფიერება 1958 წლის პირველ ნახევარში 1957 წლის პირველ ნახევართან შედარებით გაიზარდა 6 პროცენტით, მშენებლობაში — 10 პროცენტით.

სახელმწიფო მრეწველობის მუშათა შრომის ნაყოფიერება გასული წლის პირველ ნახევართან შედარებით გაიზარდა: ფერად მეტალურგიაში — 10 პროცენტით, ქვანახშირის მრეწველობაში — 3 პროცენტით, ნავთობმომპოვებელ მრეწველობაში — 13 პროცენტით, ქიმიური და რეზინის მრეწველობაში — 7 პროცენტით, მანქანათმშენებელ და ლითონდამამუშავებელ მრეწველობაში — 10 პროცენტით, მსუბუქ მრეწველობაში — 6 პროცენტით და კვების მრეწველობაში — 3 პროცენტით. შავ მეტალურგიაში, სამუშაო დღის ხანგრძლივობის შემცირების პირობებში, შრომის ნაყოფიერება გაიზარდა 2 პროცენტზე მეტით.

მრეწველობაში მუშათა შრომის ნაყოფიერების ზრდა მოკავშირე რესპუბლიკების მიხედვით ხასიათდება შემდეგი მონაცემებით:

| | 1958 წლის პირველი ნახევარი პროცენტობით 1957 წლის პირველ ნახევართან შედარებით |
|---|---|
| რუსეთის სფსრ | 106 |
| უკრაინის სსრ | 105 |
| ბელორუსიის სსრ | 106 |
| უზბეკეთის სსრ | 100,1 |
| ყაზახეთის სსრ | 106 |
| საქართველოს სსრ | 105 |
| აზერბაიჯანის სსრ | 103 |
| ლიტვის სსრ | 108 |
| მოლდავეთის სსრ | 108 |
| ლატვიის სსრ | 108 |
| ყირგიზეთის სსრ | 107 |
| ტაჯიკეთის სსრ | 108 |
| სომხეთის სსრ | 106 |
| თურქმენეთის სსრ | 109 |
| ესტონეთის სსრ | 107 |

**მრეწველობაში მუშათა შრომის ნაყოფიერების ზრდის გეგმა მთლიანად ყველა მოკავშირე რესპუბლიკაში გადაჭარბებით შესრულდა.** მაგრამ მთელი რიგი საწარმოები ვერ ასრულებენ შრომის ნაყოფიერების ზრდის მათთვის დადგენილ დავალებებს. ზოგიერთი სახალხო მეურნეობის საბჭოს სამრეწველო საწარმოებში შრომის ნაყოფიერების ზრდა ჩამორჩებოდა საშუალო ხელფასის ზრდას.

## VI

## ხალხის მატერიალური კეთილდღეობის გაუმჯობესება და ცხოვრების კულტურული დონის ამაღლება

1958 წლის პირველ ნახევარში გრძელდებოდა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის გადაწყვეტილებებით გათვალისწინებულ დიდ ღონისძიებათა განხორციელება, რომელთა მიზანია საბჭოთა ხალხის მატერიალური კეთილდღეობის გაუმჯობესება და კულტურული დონის ამაღლება. **გრძელდებოდა მრეწველობის მუშათა და მოსამსახურეთა გადაყვანა შემცირებულ სამუშაო დღეზე.** დამატებით შემცირებულ სამუშაო დღეზე გადაყვანილი მუშებისა, რომლებიც დასაქმებული არიან დონეცისა და ლვოვ-ვოლინის აუზების ქვანახშირის შახტების მიწისქვეშა სამუშაოებზე, ამავამად მთავრდება შავი მეტალურგიის სამთამადნო, მეტალურგიული და კოქსქიმიური საწარმოების მუშა-მოსამსახურეების გადაყვანა შვიდი და ექვსი საათის სამუშაო დღეზე. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს და საკავშირო პროფსაბჭოს დადგენილების შესაბამისად 1958 წელს შვიდი და ექვსი საათის სამუშაო დღეზე გადაყვანილი იქნებიან მძიმე მრეწველობის მთელი რიგი სხვა დარგების საწარმოთა მუშები და მოსამსახურეები. მრეწველობის ყველა ამ დარგში შემცირებულ სამუშაო დღეზე გადაყვანასთან ერთად ხორციელდება მუშებისა და მოსამსახურეების ხელფასის მოწესრიგება. შემცირებულ სამუშაო დღეზე გადაყვანა ხდება მუშათა და მოსამსახურეთა ხელფასის შეუმცირებლად.

1958 წლის 1 იანვრიდან გაუქმებულია უცოლშვილო, უქმარშვილო, მარტოხელა და მცირეოჯახიან მოქალაქეთა გადასახადის გადახდევინება ყველა პირისაგან, რომელთაც შვილები ჰყავთ, აგრეთვე მარტოხელა ქალებისაგან.

ამავე დროიდან სახელმწიფოსათვის სოფლის მეურნეობის პროდუქტების სავალდებულო ჩაბარებისაგან განთავისუფლებული არიან კოლმეურნეთა, აგრეთვე მუშათა და მოსამსახურეთა პირადი დამხმარე მეურნეობანი.

კოლმეურნეთა ფულადი შემოსავალი კოლმეურნეობათა საზოგადოებრივი მეურნეობისა და პირადი დამხმარე მეურნეობისაგან გაიზარდა 1957 წლის პირველ ნახევართან შედარებით.

მიმდინარე წელს, ისევე როგორც წინა წლებში, მოსახლეობა სახელმწიფოსაგან იღებდა დახმარებასა და შემწეობას მუშა-მოსამსახურეთა სოციალური დაზღვევის ხაზით, პენსიებს, დახმარებას მრავალშვილიანი და მარტოხელა დედებისათვის, სტიპენდიებს მოსწავლეებისათვის, უფასო სამედიცინო დახმარებას, უფასო და შეღავათიან საგზურებს სანატორიუმებსა და დასასვენებელ სახლებში, უფასო სწავლას და კვალიფიკაციის ამაღლებას და სხვა შემწეობასა და შეღავათს. გარდა ამისა, 1958 წლის პირველ ნახევარში დაახლოებით 26 მილიონმა კაცმა გამოიყენა მორიგი შვებულება, რომელიც ყოველწლიურად ეძლევა ყველა მუშასა და მოსამსახურეს ხელფასის შენარჩუნებით. **სულ ნახევარ წელიწადში მოსახლეობამ მიიღო 106 მილიარდი მანეთი თანხის ყველა აღნიშნული შემწეობა და შეღავათი, ანუ 6 პროცენტით მეტი, ვიდრე 1957 წლის პირველ ნახევარში.**

მუშების, მოსამსახურეებისა და გლეხების ფულადი შემოსავლის ზრდასთან დაკავშირებით მოსახლეობის ანაბრები შემნახველ სალაროებში ნახევარ წელიწადში გაიზარდა დაახლოებით 4 მილიარდი მანეთით.

მნიშვნელოვნად გაიზარდა მოსახლეობის მიერ საქონლის შეძენა სახელმწიფო და კოოპერაციულ ვაჭრობაში.

**1958 წლის პირველი ნახევრისათვის დადგენილი საცალო საქონელბრუნვის გეგმა შესრულდა. სახელმწიფო და კოოპერაციული ვაჭრობის** (გარდა „ცენტროსოიუზის" სასურსათო საქონლის საკომისიო ვაჭრობისა) **საცალო საქონელბრუნვის საერთო მოცულობა 1958 წლის პირველ ნახევარში შეადგენდა 314,5 მილიარდ მანეთსა და 1957 წლის პირველ ნახევართან შედარებით გაიზარდა 22 მილიარდი მანეთით და მეტით; საქონელბრუნვის მოცულობა, შესადარ ფასებში, გაიზარდა** (გარდა არაყისა, რომლის გაყიდვა შემცირდა) **6 პროცენტით.** გარდა ამისა, „ცენტროსოიუზის" საკომისიო ვაჭრობის მეშვეობით სასურსათო საქონელი 1958 წლის პირველ ნახევარში გაიყიდა 4,2 მილიარდი მანეთისა, ანუ 14 პროცენტით მეტი, ვიდრე 1957 წლის პირველ ნახევარში.

სახელმწიფო და კოოპერაციულ ვაჭრობაში მნიშვნელოვნად გაიზარდა შემდეგი საქონლის გაყიდვა:

| | გაყიდულია 1958 წლის პირველ ნახევარში პროცენტობით 1957 წლის პირველ ნახევართან შედარებით |
|---|---|
| ხორცი, ძეხვეული და ხორცის სხვა პროდუქტები | 114 |
| თევზი, ქაშაყი და თევზის სხვა პროდუქტები | 109 |
| ერბო-კარაქი | 118 |
| რძე და რძის პროდუქტები | 113 |
| კვერცხი | 115 |
| შაქარი | 111 |
| ხილი | 123 |
| შალის ქსოვილები | 110 |
| აბრეშუმის ქსოვილები | 107 |
| სელის ქსოვილები | 122 |
| ტანსაცმელი და თეთრეული | 105 |
| ტრიკოტაჟის ნაწარმი | 112 |
| წინდის ნაწარმი | 106 |
| ტყავის ფეხსაცმელი | 110 |
| საპონი | 111 |
| ავეჯი | 119 |
| მაჯის საათები | 107 |
| საკერავი მანქანები | 112 |
| მაცივრები | 126 |
| სარეცხი მანქანები | 135 |
| მტვერსასრუტები | 107 |
| მოტოციკლები | 120 |
| რადიომიმღებები | 110 |
| ტელევიზორები | 150 |
| მსუბუქი ავტომობილები | 159 |

**კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში მეცხოველეობის პროდუქტების წარმოების და სახელმწიფო დამზადებისა და შესყიდვის ზრდის შედეგად ამ პროდუქტების სახელმწიფო რესურსები გაიზარდა, რამაც შესაძლებელი გახადა 1957 წლის პირველ ნახევართან შედარებით გადიდებულიყო მოსახლეობისათვის ხორცისა და ხორცის პროდუქტების მიყიდვა 118 ათასი ტონით, ერბო-კარაქისა — 35 ათასი ტონით, ხოლო სულ რძისა და რძის პროდუქტებისა — 1.181 ათასი ტონით.**

მოსახლეობისა და კოლმეურნეობებისათვის საწარმოო დანიშნულების საქონლის მიყიდვა 1958 წლის პირველ ნახევარში გაიზარდა შემდეგი ოდენობით: ცემენტისა — 19 პროცენტით, შიფერისა — 26 პროცენტით, რბილი სახურავისა — 22 პროცენტით, ლურსმნისა — 12 პროცენტით, ფანჯრის მინისა — 26 პროცენტით. ხე-ტყის მასალების, მათ შორის სტანდარტული სახლების მიყიდვა მოსახლეობისა და კოლმეურნეობებისათვის გაიზარდა 33 პროცენტით.

მიუხედავად საქონელბრუნვის მნიშვნელოვანი ზრდისა, მოსახლეობის მოთხოვნა სახალხო მოხმარების მთელ რიგ საქონელზე, კერძოდ, ბამბის ქსოვილებზე, ტყავის ფეხსაცმელზე, ავეჯზე მთლიანად ვერ კმაყოფილდება; აგრეთვე მთლიანად ვერ კმაყოფილდება მოსახლეობის მოთხოვნა მაცივრებსა და ფაიფურ-ქაშანურის ჭურჭელზე.

**მიღწეულია შემდგომი წარმატებანი სოციალისტური კულტურის ყველა დარგში.**

დაწყებითი, შვიდწლიანი და საშუალო სკოლების, მათ შორის მუშა და სოფლის ახალგაზრდობის სკოლებისა და მოზრდილთა სკოლების მოსწავლეთა რიცხვი გასული წლის პირველ ნახევართან შედარებით გაიზარდა 500 ათასი კაცით. გაიზარდა საშუალო სკოლების რაოდენობა. საშუალო სკოლები დაამთავრა და სიმწიფის ატესტატი მიიღო 1 მილიონ 600 ათასმა კაცმა. უმაღლესი სასწავლებლები, ტექნიკუმები და სხვა საშუალო სპეციალური სასწავლებლები წელს უშვებენ 830 ათასზე მეტ ახალგაზრდა სპეციალისტს. ამასთან მრეწველობისათვის, მშენებლობისათვის, ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობისათვის გამოშვებულია დაახლოებით 340 ათასი ინჟინერი და ტექნიკოსი, ანუ 19 პროცენტით მეტი, ვიდრე შარშან.

შემდგომ განვითარდა კინო. გასულ ნახევარ წელიწადში ჩვენი ქვეყნის კინოსტუდიებმა გამოუშვეს 41 სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმი, მაშინ როცა 1957 წლის პირველ ნახევარში გამოშვებული იყო 33 ფილმი. წლის პირველი ნახევრის დამლევისათვის კინოდანადგართა რაოდენობა გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით გაიზარდა 6 ათასით და მეტით. მაყურებელთა რიცხვი, რომლებიც კინოსეანსებს დაესწრნენ, გაიზარდა 135 მილიონით და მეტით.

შარშანდელზე კიდევ უფრო მეტი მასშტაბით ხორციელდებოდა ღონისძიებანი ბავშვებისა და მოზარდების დასვენების მოსაწყობად საგარეუბნო და საქალაქო პიონერულ ბანაკებში, საექსკურსიო-ტურისტულ ბაზებში, აგარაკებზე საბავშვო ბაღების, საბავშვო სახლებისა და საბავშვო ბაგების წასაყვანად. სოფელ ადგილებში ბავშვებს მომსახურებას უწევს საზაფხულო საბავშვო მოედნებისა და სეზონური საბავშვო ბაგების დიდი ქსელი.

მიმდინარე წელს გრძელდებოდა სამკურნალო და სანიტარულ-პროფილაქტიკური დაწესებულებათა ქსელის შემდგომი განვითარება. გაიზარდა სამკურნალო დაწესებულებათა აღჭურვა უახლესი აპარატურით და მოწყობილობით.

1957 წლის პირველ ნახევართან შედარებით კაპიტალურ დაბანდებათა მოცულობა სკოლების მშენებლობაში გაიზარდა 27 პროცენტით, საავადმყოფოების მშენებლობაში — 26 პროცენტით, საბავშვო ბაღების მშენებლობაში — 19 პროცენტით და საბავშვო ბაგების მშენებლობაში — 17 პროცენტით. მაგრამ კულტურულ-საყოფაცხოვრებო მშენებლობების ობიექტების საექსპლოატაციოდ გადაცემა ჩამორჩება სახელმწიფო გეგმის დავალებებს.

მნიშვნელოვნად გაიზარდა საცხოვრებელი სახლების საექსპლოატაციოდ გადაცემა, თუმცა საცხოვრებელი ფართობის საექსპლოატაციოდ გადაცემის წლის პირველი ნახევრის გეგმა მთლიანად ვერ შესრულდა მთელ რიგ ოლქებში, მხარეებსა და ავტონომიურ რესპუბლიკებში. მარტო იმ სახსრებით, რომლებიც გამოყოფილია სახელმწიფო გეგმით 1958 წლის პირველ ნახევარში, **აშენდა და საექსპლოატაციოდ გადაეცა დაახლოებით 12 მილიონი კვადრატული მეტრი საერთო ფართობის საცხოვრებელი სახლები, ანუ 2 მილიონი კვადრატული მეტრით და უფრო მეტით, ვიდრე გასული წლის პირველ ნახევარში.** გარდა ამისა დიდძალი საცხოვრებელი სახლები ააშენეს და საექსპლოატაციოდ გადასცეს სახელმწიფო საწარმოებმა და ორგანიზაციებმა არაცენტრალიზებული სახსრებით სახელმწიფო გეგმის გადამეტებით, აგრეთვე მოსახლეობამ საკუთარი სახსრებით და სახელმწიფო კრედიტის დახმარებით.

გრძელდებოდა ეკონომიური ურთიერთობის გაფართოება უცხო ქვეყნებთან. მნიშვნელოვნად გაიზარდა მანქანებისა და მოწყობილობის ექსპორტი.

* * *

სსრ კავშირის სახელმწიფო მეურნეობის განვითარების 1958 წლის პირველი ნახევრის სახელმწიფო გეგმის შესრულების შედეგები მოწმობენ სოციალისტური ინდუსტრიის — სახალხო მეურნეობის საფუძვლის განუხრელ განვითარებას, სოციალისტური სოფლის მეურნეობის მკვეთრ აღმავლობას, საბჭოთა მეცნიერებისა და კულტურის თვალსაჩინო წარმატებებს და მშრომელთა მატერიალური კეთილდღეობის შემდგომ გაუმჯობესებასა და კულტურული დონის ამაღლებას.

**სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული ცენტრალური სტატისტიკური სამმართველო**

## ჟოუ ენ-ლაის წერილი ნოროდომ სიანუკისადმი

**პეკინი**, 24 ივლისი. (საქდესი). როგორც სინხუას სააგენტო იუწყება, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს პრემიერმა კამბოჯის პრემიერ-მინისტრს პრინც ნოროდომ სიანუკს გაუგზავნა წერილი, რომელშიც მიესალმება კამბოჯის მთავრობის გადაწყვეტილებას ოფიციალურად ცნოს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა. წერილში ნათქვამია, რომ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობის სახელით ჟოუ ენ-ლაი გულწრფელად მიესალმება კამბოჯის მთავრობის ამ მეგობრულ გადაწყვეტილებას. ჩინეთის მთავრობა სავსებით ეთანხმება კამბოჯის მთავრობის წინადადებას, რომ ორმა ქვეყანამ ნორმალური დიპლომატიური ურთიერთობა დაამყაროს ელჩების რანგით. მე ღრმად მწამს, წერს ჟოუ ენ-ლაი, რომ ეს დიდმნიშვნელოვანი ნაბიჯი ჩვენი ორი ქვეყნის ხალხთა შორის მეგობრობის განმტკიცების შემდგომი ნაბიჯი იქნება.

## ქალთა საერთაშორისო დემოკრატიული ფედერაციის დეპეშა დ. ჰამარშელდისადმი

**ბერლინი**, 24 ივლისი. (საქდესი). ქალთა საერთაშორისო დემოკრატიული ფედერაციის სამდივნომ შემდეგი დეპეშა გაუგზავნა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ მდივანს დ. ჰამარშელდს:

ქალთა საერთაშორისო დემოკრატიული ფედერაცია მთელი მსოფლიოს ქალებისა და დედების დიდ შეშფოთებას გამოთქვამს ლიბანსა და იორდანიაში სამხედრო ინტერვენციის გამო, რომელიც უფრო მეტად, ვიდრე ოდესმე ემუქრება მშვიდობასა და საერთაშორისო უშიშროებას. იმ სიცოცხლის გულისათვის, რომელსაც ჩვენ ვქმნით, მოგიწოდებთ გამოიყენოთ მთელი თქვენი ავტორიტეტი, რათა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების შესაბამისად მიაღწიოთ უცხოეთის ჯარების გაყვანას ლიბანისა და იორდანიის ტერიტორიიდან. დარწმუნებული ვართ, რომ თქვენ არ დაიშურებთ ძალღონეს, რათა მიაღწიოთ იმას, რომ მოწვეულ იქნას თათბირი უმაღლეს დონეზე მეტისმეტად დიდმნიშვნელოვან საერთაშორისო საკითხთა მოსაწესრიგებლად.

დეპეშას ხელს აწერს ქალთა საერთაშორისო დემოკრატიული ფედერაციის გენერალური მდივანი კარმენ ძანტი.

## ამერიკის პრესა მთავრობათა მეთაურების შეხვედრის შესახებ უშიშროების საბჭოში

**ნიუ-იორკი**, 24 ივლისი. (საქდესის კორ. ლ. ველიჩანსკი). ყველა დილის გაზეთმა დიდი სათაურებით მთელი გვერდის სიგანეზე დაბეჭდეს ცნობა, რომ საბჭოთა მთავრობა დაეთანხმა დასავლეთის წინადადებას იმის შესახებ, რომ მთავრობათა მეთაურების თათბირი ახლო აღმოსავლეთში შექმნილი მდგომარეობის შესახებ მოხდეს უშიშროების საბჭოს ფარგლებში. ყველა რადიოსადგურმა და ტელევიზიის სადგურმა ეს ახალი ამბავი ჯერ კიდევ გუშინ საღამოს გადასცა, როგორც ყველაზე დიდი სენსაცია.

ვაშინგტონის ოფიციალური გამოხმაურება ჯერ კიდევ არ არის ცნობილი, მაგრამ პრესა და რადიო ფართო კომენტარს უკეთებენ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ნ. ს. ხრუშჩოვის პასუხს დ. ეიზენჰაუერისადმი. გაზეთ „დეილი ნიუსის“ სიტყვით, ამ „მოულოდნელმა სწრაფმა პასუხმა სახელმწიფო დეპარტამენტს თავზარი დასცა, როგორც აფეთქებულმა ბომბმა“. ის გარემოება, რომ საბჭოთა მთავრობის დადებითმა პასუხმა ასეთი შთაბეჭდილება მოახდინა სახელმწიფო დეპარტამენტზე და ასეთი სენსაცია გამოიწვია ამერიკის პრესაში, აქ გაკვირვებას არ იწვევს. ამერიკის პრესას საიდუმლოება არ შეუქმნია იმისაგან, რომ ვაშინგტონი წინააღმდეგი იყო საბჭოთა თავდაპირველი წინადადებისა ხუთი სახელმწიფოს მეთაურთა თათბირის შესახებ, რომ ამ საკითხში ამერიკის შეერთებული შტატების აზრი სერიოზულად დაშორდა მათი მოკავშირეების აზრს და რომ ბოლოს და ბოლოს ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობა დათანხმდა დაიკავოს პოზიცია, ინგლისის პოზიციის მსგავსი, იმ იმედით, რომ საბჭოთა კავშირი არ დათანხმდება ამერიკის პასუხში წამოყენებულ პირობებზე.

ზოგიერთი მიმომხილველი, როგორც მაგალითად დრუმონდი, პირდაპირ უწოდებდა ეიზენჰაუერის პასუხს უმაღლეს დონეზე თათბირის შესახებ საბჭოთა წინადადების უარყოფას.

ახლა, როცა საბჭოთა კავშირი დათანხმდა დასავლეთის წინადადებაზე, მიმომხილველები ვერ ხედავენ, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებს უკან დახევის რაიმე შესაძლებლობა ჰქონდეთ. სწორედ ამ გარემოების აღიარება არის ლეიტმოტივი ყველა კომენტარისა დ. ეიზენჰაუერისადმი ნ. ს. ხრუშჩოვის გუშინდელი წერილის გამო. ზოგიერთ მიმომხილველს მიაჩნია, რომ სახელმწიფო მდივანი დალესი ეცდება გადადოს თათბირის ვადა, დაიწყებს რა დიპლომატიურ მიმოწერას თათბირის მონაწილეთა შემადგენლობის საკითხზე. ასეთი გაჭიანურების შესაძლებლობის დადასტურებად, კერძოდ, მოჰყავთ ცნობა, რომ დალესი არ აპირებს გადადოს თავისი გამგზავრება ევროპაში, რომელიც განზრახულია 26 ივლისისათვის. მაგრამ ამავე დროს პრესა აღიარებს, რომ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ნ. ს. ხრუშჩოვის წინადადება თათბირში ინდოეთისა და არაბთა ქვეყნების მთავრობათა მეთაურების მონაწილეობის შესახებ არ შეიძლება გამოიყენონ თათბირის ჩაშლის საბაბად, რამდენადაც დაინტერესებული ქვეყნების მიწვევა, რომელნიც უშიშროების საბჭოს წევრები არ არიან, შეესაბამება საბჭოს პროცედურის წესებს და ამერიკის შეერთებული შტატები ვერ უარყოფენ, რომ ეს ქვეყნები დაინტერესებული არიან საკითხით, რომელიც უნდა განიხილონ.

გაზეთების მეტი წილი მიმომხილველნი, მიუხედავად იმისა, იწონებენ თუ არა ისინი მთავრობათა მეთაურების თათბირის იდეას, ერთი აზრის არიან იმ საკითხში, რომ ასეთი თათბირი „გარდუვალია“ და რომ საეჭვოა იგი „გადაიდოს“ 2 კვირაზე მეტი ხნით.

გაზეთები აქვეყნებენ სენატორ ჰემფრის სიტყვებს: ნ. ს. ხრუშჩოვმა „ჩიხში მოგვიმწყვდია ისე, რომ ჩვენ ვერ გავბედავთ ვუპასუხოთ სხვანაირად, თუ არ თანხმობით“. ეს აზრი სხვადასხვა ვარიანტით მეორდება გაზეთის მიმომხილველთა თითქმის ყველა კომენტარში. ლიპმანი წერს „ნიუ-იორკ ჰერალდ ტრიბუნში“, რომ ინგლისის მთავრობამ და გერმანიის, სკანდინავიის, იაპონიის და სხვა ქვეყნების საზოგადოებრივმა აზრმა აიძულეს ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტი უხალისოდ დათანხმებოდა ახლო აღმოსავლეთის შესახებ უმაღლეს დონეზე თათბირის იდეას. იგი შექმნილ მდგომარეობას ადარებს კოშმარს, როცა ადამიანი „იძულებული ხდება გააკეთოს ის, რის გაკეთებაც არამც და არამც არა სურს“. რობერტ დონოვენი იმავე გაზეთში წერს, რომ „უმაღლეს დონეზე შეხვედრისაკენ სვლას ისეთი ძალა მიეცა, რომ უკან შემობრუნება უკვე შეუძლებელია“.

ჯეიმს რესტონი „ნიუ-იორკ ტაიმსში“ აგრეთვე ფიქრობს, რომ თათბირი გაიმართება უახლოეს 2 კვირაში, მიუხედავად იმისა, რომ ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობას „მთლიანად ჯერ კიდევ ბედი არ სწყალობს“. ამასთან რესტონი ამტკიცებს, რომ, ზოგიერთი ოფიციალური პირის აზრით, მოლაპარაკებას უმაღლეს დონეზე და განსაკუთრებით მოლაპარაკებას კარდახშულ დარბაზში, რომელიც შეიძლება წარმოებდეს უშიშროების საბჭოს ღია სხდომებთან ერთად, შეიძლება დადებითი შედეგები მოჰყვეს.

პრესაში გამოქვეყნებული გამოხმაურება და, კერძოდ, სენატის საგარეო საქმეთა კომისიის თავმჯდომარის სენატორ გრინის განცხადება, რომელიც მიესალმება ხრუშჩოვის დადებით პასუხს ეიზენჰაუერისადმი, ცხადყოფს, რომ ვაშინგტონის მთავრობის წრეებში არიან ადამიანები, რომელთაც უმაღლეს დონეზე თათბირი მიაჩნიათ არა „გარდუვალ ბოროტებად“, არამედ იმ კრიზისის დაძლევის რეალურ შესაძლებლობად, რომელმაც კაცობრიობა „კატასტროფის პირას“ მიიყვანა.

## ინგლის-ამერიკის ინტერვენციის წინააღმდეგ ახლო აღმოსავლეთში

**ჯაკარტა**, 23 ივლისი. (საქდესი). გუშინ ჯაკარტაში გაიმართა ნავთობზე მუშათა საპროტესტო მიტინგი ამერიკის შეერთებული შტატებისა და ინგლისის ინტერვენციის წინააღმდეგ ახლო აღმოსავლეთში. მიტინგის მონაწილეებმა არაბთა პროფკავშირების საერთაშორისო ფედერაციას კაიროში გაუგზავნეს დეპეშა, რომელშიც 35 ათასი მენავთობე მუშის სახელით მიესალმებიან გმირულ ბრძოლას, რასაც არაბი მუშათა კლასი და ხალხი ეწევიან ამერიკის შეერთებული შტატებისა და ინგლისის ინტერვენციის წინააღმდეგ. ჩვენ ვგმობთ აგრესიას და მოვითხოვთ დაუყოვნებლივ გაიყვანონ ინტერვენტთა ჯარები არაბთა ქვეყნებიდან. წინააღმდეგ შემთხვევაში დავიწყებთ მოქმედებას ამერიკისა და ინგლისის ნავთობის კომპანიათა წინააღმდეგ ინდონეზიაში.

## საომარი მზადება გრძელდება...

**სტამბოლი**, 24 ივლისი. (საქდესი). როგორც გაზეთი „ულუსი“ იუწყება, თურქეთის ჯარის ბევრი ნაწილი, რომლებიც დისლოცირებული იყო ისკადერუნში, გადაიყვანეს საზღვარზე არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის სირიის რაიონთან.

გაზეთის მონაცემებით, ადანის სამხედრო-საჰაერო ბაზიდან ბეირუთში გადაჰყავთ ამერიკის დიდძალი რეაქტიული თვითმფრინავები.

## ინდოეთმა ცნო ერაყის რესპუბლიკა

**პარიზი**, 23 ივლისი. (საქდესი). როგორც ფრანს პრესის სააგენტოს კორესპონდენტი დელიდან იუწყება, დღეს დელში ოფიციალურად გამოცხადდა, რომ ინდოეთმა ცნო ერაყის რესპუბლიკის მთავრობა.

## ერაყის რესპუბლიკის მხარდასაჭერად

### სუდანის საგარეო საქმეთა მინისტრის განცხადება

**კაირო**, 23 ივლისი. (საქდესი). როგორც მენის სააგენტოს ხართუმელი კორესპონდენტი იუწყება, სუდანის საგარეო საქმეთა მინისტრმა მუჰამედ აჰმედ მაჰგუბმა დღეს გააკეთა განცხადება, რომ „სუდანის მთავრობა ყოველ ღონეს იხმარს, რათა დახმარება გაუწიოს ახალგაზრდა ერაყის რესპუბლიკას, თუ მას რაიმე საფრთხე დაემუქრება ლიბანში ამერიკის ჯარებისა და იორდანიაში ინგლისის ჯარების მხრივ“.

## ვენესუელის ხალხმა ჩაშალა სამხედრო წრეების რეაქციული შეთქმულება

**ნიუ-იორკი**, 23 ივლისი. (საქდესი). როგორც ამერიკის სააგენტოების კორესპონდენტები კარაკასიდან (ვენესუელა) იუწყებიან, გუშინ იქ ხალხის მასების მტკიცე და ერთსულოვანი მხარდაჭერით ჩაიშალა სამხედრო წრეების შეთქმულება, რომლის მიზანი იყო აღედგინათ დიქტატორული რეჟიმი და მოესპოთ დემოკრატიული გარდაქმნები ვენესუელაში. სამხედრო წრეებმა თავდაცვის მინისტრის ხესუს მარია კასტრო ლეონის მეთაურობით მთავრობის ხუნტას გაუგზავნეს ულტიმატუმი, რომელშიც მოითხოვეს ყველა პოლიტიკური პარტიის დაშლა, და განსაკუთრებით კომუნისტური პარტიისა და პარტია „დემოკრატიული მოქმედების“ საქმიანობის აკრძალვა, ხუნტის დაპირებული საყოველთაო არჩევნების გადადება განუსაზღვრელი ვადით, პრესის ცენზურის შემოღება.

ამ ულტიმატური მოთხოვნის პასუხად კარაკასის 100 ათასი მცხოვრები, წერს ასოშიეიტედ პრესის სააგენტოს კორესპონდენტი, გუშინ საღამოს გამოვიდა კარაკასის ქუჩებში და მოითხოვა, რომ კასტრო ლეონი დაუყოვნებლივ გადამდგარიყო მინისტრის პოსტიდან. სამხედრო შეთქმულების წინააღმდეგ პროტესტის ნიშნად ვენესუელის პროფკავშირებმა 23 ივლისისათვის საყოველთაო გაფიცვა გამოაცხადეს. სამხედრო-საზღვაო ფლოტმა აგრეთვე დაუჭირა მხარი მთავრობას.

დაეყრდნო რა მასების მოთხოვნას, მთავრობის ხუნტამ მოხსნა კასტრო ლეონი თავდაცვის მინისტრის თანამდებობიდან და 37 ოფიცერი დააპატიმრა კარაკასსა და ვალენსიაში.

## გრძელდება ინგლისის ჯარების გადასხმა ლიბიაში

**ნიუ-იორკი**, 23 ივლისი. (საქდესი). როგორც იუნაიტედ პრეს ინტერნეიშნლის სააგენტოს კორესპონდენტი ბენგაზიდან (ლიბია) იუწყება, დღეს აქ გადასხდა ინგლისის ქვეითი პოლკი. კორესპონდენტის სიტყვით, ამ გადასხმის მიზანია გააძლიერონ ინგლისის სამხედრო სიმძლავრე ახლო და შუა აღმოსავლეთში.

## მერფის საქმიანობა ლიბანში

**ბეირუთი**, 22 ივლისი. (საქდესი). როგორც პრესა იუწყება, ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივნის მოადგილის მოადგილე მერფი, რომელიც ახლა ლიბანშია სპეციალური მისიით, გუშინ ეწვია ლიბანის პარლამენტის თავმჯდომარეს ოსეირანს.

გაზეთი „ტელეგრაფი“ წერს, რომ მერფისთან საუბარში ოსეირანმა ჩამოაყალიბა თავისი თვალსაზრისი ამერიკის მიერ ლიბანის ოკუპაციის შესახებ. ეს აქცია, თქვა ოსეირანმა, დიდ საფრთხეს უქმნის ლიბანს, განსაკუთრებით თუ გავითვალისწინებთ იმ მდგომარეობას, რომ ლიბანში მალე უნდა მოხდეს პრეზიდენტის არჩევნები. ლიბანის საზოგადოებრივი აზრი, ხაზგასმით აღნიშნა ოსეირანმა, სერიოზულად არ იღებს ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის მიერ წამოყენებულ არც ერთ მოსაზრებას ლიბანში ამერიკის ჯარების გადასხმის გასამართლებლად.

## ლიბანში ძლიერდება უკმაყოფილება ამერიკის ინტერვენციის გამო

**ნიუ-იორკი**, 22 ივლისი. (საქდესი). ლიბანში ძლიერდება უკმაყოფილება ამერიკის შეერთებული შტატების შეიარაღებული ინტერვენციის გამო. ამას აღიარებს ამერიკული პრესაც კი. მაგალითად, „უოლ-სტრიტ ჯორნელის“ კორესპონდენტი რეი ვიკერი ბეირუთიდან იუწყება, „ლიბანის მოსახლეობა და პოლიტიკური მოღვაწეები უკმაყოფილო არიან ინტერვენციის გამო“ და „მუდამ მოახდენენ ზეგავლენას, რათა მიაღწიონ ამერიკელთა ძალების წასვლას. რაც უფრო გაგრძელდება ოკუპაცია, — წერს კორესპონდენტი, — ალბათ მით უფრო ძლიერი იქნება ეს ზეგავლენა“.

## გაიხსნა იაპონიის კომუნისტური პარტიის VII ყრილობა

**ტოკიო**, 23 ივლისი. (საქდესი). დღეს ტოკიოში გაიხსნა იაპონიის კომუნისტური პარტიის VII ყრილობა. ყრილობა განიხილავს პარტიის VI ყრილობის მოწვევის შემდეგ გასულ ათ წელიწადში კომუნისტური პარტიის მოღვაწეობის შედეგებს.

ნაკანოს დარბაზი მორთულია წითელი დროშებით, მარქსის, ენგელსის, ლენინის, იაპონიის კომპარტიის ხელმძღვანელების კატაიამას და ტოკუდას პორტრეტებით.

იაპონიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ნოსაკამ ტაშის გრიალში გახსნილად გამოაცხადა პარტიის VII ყრილობა.

წაიკითხეს მთელი რიგი მოძმე კომუნისტური და მუშათა პარტიების მისასალმებელი წერილები.

ყრილობაზე გამოქვეყნდა აგრეთვე იაპონიის სოციალისტური პარტიის მისასალმებელი წერილი. ყრილობას მიესალმნენ იაპონიის მრავალრიცხოვან დემოკრატიულ ორგანიზაციათა წარმომადგენლები.

საღამოს სხდომაზე დელეგატებმა მოისმინეს იაპონიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკური მოხსენება, რომელიც გააკეთა იაპონიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ნოსაკამ.

საღამოს ყრილობის დარბაზში შემოვიდა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის დელეგაცია, რომელიც ეს-ეს არის ჩამოვიდა საბჭოთა კავშირიდან. დელეგაციაში შედიან საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრი მ. ბ. მიტინი და საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური სარევიზიო კომისიის წევრი, გაზეთ „პრავდის“ მთავარი რედაქტორი პ. ა. სატიუკოვი.

ხანგრძლივი ტაშითა და შეძახილებით „გაუმარჯოს საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას“ ხვდებიან ყრილობის დელეგატები საბჭოთა კომუნისტების წარმომადგენელთ.

იაპონიის კომპარტიის VII ყრილობის დღევანდელმა სხდომამ მიიღო რეზოლუცია ლიბანსა და იორდანიაში ამერიკელი და ინგლისელი იმპერიალისტების აგრესიის წინააღმდეგ.

## მშვიდობის მსოფლიო საბჭოს ხელმძღვანელი ორგანოები

**სტოკჰოლმი**, 23 ივლისი. (საქდესის სპეც. კორ.). დღეს აქ გამოირკვა მშვიდობის მსოფლიო საბჭოს ხელმძღვანელი ორგანოების არჩევნების შედეგები. როგორც უკვე ვიუწყებოდით, მშვიდობის მსოფლიო საბჭოს ახალი შემადგენლობა აირჩიეს გუშინ მშვიდობის მომხრეთა მოძრაობის ეროვნული ორგანიზაციების დელეგაციათა თათბირზე, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს განიარაღებისა და საერთაშორისო თანამშრომლობის კონგრესში.

მშვიდობის მსოფლიო საბჭოს ბიუროში შევიდა 80-ზე მეტი თვალსაჩინო საზოგადო მოღვაწე, რომელნიც ყველა კონტინენტის ქვეყნების წარმომადგენელნი არიან. მშვიდობის მსოფლიო საბჭოს თავმჯდომარედ კვლავ არჩეულია დიდი ფრანგი მეცნიერი, მშვიდობისათვის ცნობილი მებრძოლი, პროფესორი ფრედერიკ ჟოლიო-კიური. არჩეულია აგრეთვე საბჭოს 16 ვიცე-თავმჯდომარე: ემანუელ დ'ასტიე დე ლა ვიჟერი (საფრანგეთი), პროფესორი ჯონ ბერნალი (ინგლისი), მოჰამედ კამელ ელ-ბენდარი (არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკა), იზაბელა ბლუმი (ბელგია), გენერალი ლასარო კარდენასი (მექსიკა), ქ-ნი ეჟენი კოტონი (საფრანგეთი), ილია ერენბურგი (სსრ კავშირი), ჯეიმს ენდიკოტი (კანადა), ვალტერ ფრიდრიხი (გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა), ლეოპოლდ ინფელდი (პოლონეთი), ალექსანდრე კორნეიჩუკი (სსრ კავშირი), გო მოჟო (ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა), არტურ ლუნდკვისტი (შვეცია), ველიო სპანო (იტალია), ფერდინანდო ტარჯეტი (იტალია) და აბდუ მუმუნი (სენეგალი). გარდა ამისა, გადაწყდა უფრო გვიან აირჩიონ მშვიდობის მსოფლიო საბჭოს კიდევ 3 ვიცე-თავმჯდომარე, რომელთაგან ორი ინდოეთის წარმომადგენელი იქნება და ერთი — ლათინური ამერიკის ქვეყნებისა.

მშვიდობის მსოფლიო საბჭომ აგრეთვე შექმნა სამდივნო 11 კაცის შემადგენლობით. მშვიდობის მსოფლიო საბჭოს გენერალურ მდივნად არჩეულია ფერნან ვინო (საფრანგეთი).

## კომუნიკე

### ეკონომიური ურთიერთდახმარების საბჭოს მონაწილე ქვეყნების შავი მეტალურგიის დარგში ეკონომიური და მეცნიერულ-ტექნიკური თანამშრომლობის მუდმივი კომისიის სხდომის შესახებ

1958 წლის 16-18 ივლისს მოსკოვში გაიმართა ეკონომიური ურთიერთდახმარების საბჭოს მონაწილე ქვეყნების შავი მეტალურგიის დარგში ეკონომიური და მეცნიერულ-ტექნიკური თანამშრომლობის მუდმივი კომისიის სხდომა.

მუდმივი კომისიის სხდომაში მონაწილეობა მიიღეს ალბანეთის სახალხო რესპუბლიკის, ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის, უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის, პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის, რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის, საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირისა და ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის წარმომადგენლებმა.

კომისიის სხდომას მეთვალყურეებად ესწრებოდნენ კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის წარმომადგენლები.

კომისიამ განიხილა დიდმნიშვნელოვანი საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია ეკონომიური ურთიერთდახმარების საბჭოს მონაწილე ქვეყნების შავი მეტალურგიის დარგების კოოპერირებისა და სპეციალიზაციის გაძლიერების ბაზაზე ეკონომიური ურთიერთობის შემდგომ განვითარებასთან და რომლებიც გამომდინარეობენ ეკონომიური ურთიერთდახმარების საბჭოს IX სესიის გადაწყვეტილებებიდან.

კომისიის სხდომაზე განხილულ იქნა ეკონომიური ურთიერთდახმარების საბჭოს მონაწილე ქვეყნებში შავი მეტალურგიის ტექნიკური განვითარების ძირითადი მიმართულებანი 1975 წლამდე.

კომისიამ დაამტკიცა მუშაობის გეგმა 1958 წლის დამლევამდე, რომლის მიზანია ეკონომიური ურთიერთდახმარების საბჭოს IX სესიის გადაწყვეტილებათა განხორციელება.

კომისიის მუშაობა მიმდინარეობდა ურთიერთგაგების სულისკვეთებით, მეგობრულ და საქმიან ვითარებაში.

**საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროს თბილისის საფინანსო-საკრედიტო ტექნიკუმი** აცხადებს მოსწავლეთა მიღებას 1958-59 სასწავლო წლისათვის.

ტექნიკუმს აქვს ხუთი სპეციალობა:

1. **სახელმწიფო ბიუჯეტისა** — ამზადებს ბიუჯეტის, გადასახადების, სახშემოსავლის, სახდაზღვევისა და შემსალაროების ფინანსისტებსა და ბუხჰალტრებს.
2. **კაპიტალური მშენებლობის დაფინანსებისა და დაკრედიტებისა** — ამზადებს სოფლის მეურნეობის კაპიტალური მშენებლობის დაფინანსებისა და დაკრედიტების ფინანსისტებს და კაპიტალურ დაბანდებათა გრძელვადიან ბანკებისათვის აღრიცხვის მუშაკებს.
3. **ფულის მიმოქცევა და კრედიტი** — ამზადებს სსრ კავშირის ფულის მიმოქცევისა და კრედიტის ფინანსისტებს.
4. **სტატისტიკისა** — ამზადებს სტატისტიკოსებს.
5. **აღრიცხვა და ოპერატიული ტექნიკა სახბანკში** — ამზადებს ბუხჰალტრებს სახელმწიფო ბანკისათვის.

ტექნიკუმში სწავლის ვადა სამი წელია.

ტექნიკუმში მიიღებიან ორივე სქესის პირები 30 წლამდე, რომელთაც დამთავრებული აქვთ არასრული საშუალო სკოლის კურსი.

მისაღები გამოცდები იწარმოებს 1-დან 20 აგვისტომდე ქართულ ენაში (წერა, ზეპირი), რუსულ ენაში (ზეპირი შემოწმებითი გამოცდა), მათემატიკაში (ზეპირი).

სწავლის შემოკლებული (ერთნახევარი წლის) ვადით სპეციალურ ჯგუფში მიიღებიან საშუალო სკოლის კურსდამთავრებულნი გამოცდების შედეგად. გამოცდები მათთვის იწარმოებს ქართულ ენაში (წერა-თხზულება), რუსულ ენაში (ზეპირი შემოწმებითი გამოცდა), მათემატიკაში (წერა, ზეპირი). ტექნიკუმთან არსებობს დაუსწრებელი განყოფილება, რომელზეც მიიღებიან პირველ რიგში საფინანსო-საკრედიტო სისტემის მუშაკები.

განცხადებები მიიღება 31 ივლისამდე რაიონებზე განაწილებული ადგილების მიხედვით. განცხადებას უნდა დაერთოს: განათლების მოწმობა (დედანი), დაბადების მოწმობა (დედანი ან ნოტარიალურად შემოწმებული პირი), ავტობიოგრაფია, სამი ცალი ფოტოსურათი (ზომით 3X4 სმ. გადაღებული უქუდოდ), ცნობა ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ, გაცემული სამკურნალო დაწესებულებიდან, ცნობა სამხედრო ვალდებულებასთან დამოკიდებულების შესახებ, ცნობა საცხოვრებელი ადგილის შესახებ. ორი წლისა და მეტი სტაჟის მქონე პირები ადგენენ ცნობას თანამდებობის და მუშაობის სტაჟის შესახებ, დახასიათებას სამუშაოს უკანასკნელი ადგილიდან დაწესებულების და საზოგადოებრივი ორგანიზაციის ხელმძღვანელთა ხელის მოწერით.

მოსწავლეთა ჩარიცხვა იწარმოებს 21-დან 25 აგვისტომდე. 8-წლიანი სკოლის კურსდამთავრებული ფრიადოსნები, აგრეთვე საშუალო სკოლის კურსდამთავრებული ოქროსა და ვერცხლის მედალოსნები ჩაირიცხებიან უგამოცდოდ 31 ივლისამდე განცხადების შემოსვლის მიხედვით. ტექნიკუმში ჩარიცხული პირები მიიღებენ სტიპენდიას საერთო წესით.

ტექნიკუმში მეცადინეობა დაიწყება 1 სექტემბერს.

ტექნიკუმის კანცელარია მუშაობს დილის 9-დან საღამოს 5 საათამდე. მისამართი: ქ. თბილისი, ჭავჭავაძის პროსპ. № 36, ტელ. № 3-71-08.



სურათზე: სოფელ ვარიანის (გორის რაიონი) საშუალო სკოლის შენობა.
ფოტო გ. გოგოხიასი.

# ს პ ო რ ტ ი ს ა მ ბ ე ბ ი

## საბჭოთა და ამერიკელი მძლეოსნების შეხვედრა

სსრ კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების მძლეოსანთა საერთაშორისო შეხვედრა საერთო ინტერესს იწვევს. ეს შეჯიბრება გაიმართება მოსკოვში ვ. ი. ლენინის სახელობის ცენტრალურ სტადიონზე 27 და 28 ივლისს.

ამერიკელი მძლეოსნები მსოფლიოში უძლიერესი არიან. ისინი წარმატებით გამოდიან საერთაშორისო შეხვედრებში, სხვადასხვა ჩემპიონატებში, ოლიმპიურ ასპარეზობებში.

22 ივლისს ამერიკელი მძლეოსნები მოსკოვს ეწვივნენ. მათ რიგებში არიან უძლიერესი სპორტსმენები — ა. მერჩისონი, ტ. კურტნეი, გ. კონოლი, რ. ჯონსონი და სხვები, რომლებმაც შერჩევით შეხვედრებში გაიმარჯვეს.

საბჭოთა კავშირის გუნდი დაკომპლექტებულია ახლახან ტალინში გამართულ საკავშირო ასპარეზობაში გამარჯვებული მძლეოსნებით.

## საბჭოთა კალათბურთელების გამარჯვება

ევროპის თასის გათამაშება კალათბურთში ვაჟთა გუნდებს შორის მიმდინარე სასპორტო სეზონის საინტერესო შეჯიბრება იყო. ამ ასპარეზობაში მონაწილეობას იღებდნენ ევროპის სხვადასხვა ქვეყნის ჩემპიონები.

გარდამავალი ჯილდოს მოსაპოვებლად ბრძოლა ძირითადად სსრ კავშირისა და ბულგარეთის ჩემპიონებს — რიგის სკივო-ს გუნდსა და ბულგარეთის გუნდ „აკადემიკოსს“ შორის მიმდინარეობდა.

ამ გუნდების პირველი მატჩი, როგორც ვიუწყებოდით, მოიგეს საბჭოთა სპორტსმენებმა. მეორე შეხვედრა გაიმართა სოფიაში. რიგის სკივო-ს გუნდმა ასპარეზობა მოიგო ანგარიშით 84:71 და ევროპის თასი მოიპოვა.

## პირველი წრის ფინიშთან

სსრ კავშირის პირველობის გათამაშების პირველი წრის დამთავრებამდე 1 მატჩი დარჩა. ეს შეჯიბრება გაიმართება დღეს მოსკოვში დედაქალაქის „დინამოსა“ და „ტორპედოს“ ფეხბურთელთა გუნდებს შორის.

დღეისათვის ლიდერია მოსკოვის „სპარტაკი“. პირველ ხუთეულში არიან აგრეთვე „ზენიტი“, „ლოკომოტივი“, ცსკ მო და „შახტიორი“.

25 ივლისიდან გაგრძელდება აგრეთვე მეორე წრის შეხვედრები. ამ დღეებში თბილისის „დინამოს“ გუნდი გაემგზავრა მოსკოვში, სადაც 26 და 30 ივლისს, აგრეთვე 4 და 9 აგვისტოს შეხვდება დედაქალაქის „სპარტაკს“, „დინამოს“, ცსკ მო-სა და „ტორპედოს“. 15 აგვისტოს კუიბიშევში მატჩის ჩატარების შემდეგ დინამოელები თბილისში დაბრუნდებიან.

## სპარტაკიადა დამთავრდა

რამდენიმე დღის საინტერესო ასპარეზობის შემდეგ თბილისის სასპორტო ბაზებზე დამთავრდა საქართველოს პროფკავშირთა II საზაფხულო სპარტაკიადა.

შეჯიბრების დღეებში გაუმჯობესდა სპორტული მაჩვენებლები, დამყარებულ იქნა ახალი რეკორდები, 11 მონაწილემ აჩვენა სპორტის ოსტატის შედეგი.

საერთო გუნდური პირველი ადგილი პირველ ჯგუფში თბილისელებმა დაიკავეს. ძირეულ ფიზკულტურულ კოლექტივებს შორის უძლიერესი იყო ამიერკავკასიის მეტალურგიული ქარხნის გუნდი, სპორტსაზოგადოებებში — „განთიადი“.

## საერთაშორისო შეხვედრა ცხენოსნობაში

22 ივლისს მოსკოვის იპოდრომი სავსე იყო სპორტის მოყვარულებით. აქ საზეიმოდ გაიხსნა საერთაშორისო შეხვედრა ცხენოსნობაში სსრ კავშირისა და რუმინეთის გუნდებს შორის.

შეჯიბრების პროგრამაშია ცხენოსნობის კლასიკური სახეობები. დიდი ინტერესი გამოიწვია შეხვედრის გახსნის პრიზის გათამაშებამ დაბრკოლებათა გადალახვაში. ცხენოსნობის მაღალი ოსტატობა გამოამჟღავნა საბჭოთა სპორტსმენმა ბ. ილოვმა, რომელმაც პირველი ადგილი და პრიზი მოიპოვა.

სსრ კავშირისა და რუმინეთის ცხენოსანთა ასპარეზობა 27 ივლისამდე გაგრძელდება.

## ახალი რეკორდები

მოსკოვის ვ. ი. ლენინის სახელობის სტადიონის საცურაო აუზში რამდენიმე დღეს გრძელდებოდა ჩვენი ქვეყნის უძლიერეს მცურავთა საკავშირო შეჯიბრება. ჩემპიონატი აღინიშნა მაღალი სპორტული შედეგებით, დამყარებულია სსრ კავშირისა და ევროპის ახალი რეკორდები.

გუნდურ ჩათვლაში პირველი ადგილი დაიკავეს მოსკოველებმა.

წარმატებით გამოვიდა აზერბაიჯანელი ახალგაზრდა სპორტსმენი ქენენკო, რომელმაც 200 მეტრზე ბატერფლაის სტილით ცურვაში სსრ კავშირის ახალი რეკორდი დაამყარა. მან აჩვენა დრო — 2 წუთი და 25,9 წამი. ქალთა შორის 100 მეტრზე ბატერფლაის სტილით ცურვაში ფინიშთან პირველი მივიდა კამაევა.

შეჯიბრებაში მონაწილე საქართველოს მცურავთა შორის წარმატებით გამოვიდა ნიკიტინი. იგი სსრ კავშირის 1958 წლის ჩემპიონი გახდა 400 მეტრზე ნებისმიერი სტილით ცურვაში ვაჟთა შორის.

რედაქტორი პ. რატიანი.

## დ ღ ე ს

ფილარმონიის საზაფხულო თეატრი — ესტონეთის ესტრადის საღამო (9 ს.).

### კინოთეატრებში

**რუსთაველის სახელობის, ამირანი** (საზამთრო), **ოქტომბერი, ფილარმონიის ბაღი, ისანი** (საზამთრო), **სპარტაკი, საქართველო** (მწვანე დარბაზი), **პლეხანოვის სახელობის კლუბი, ჭავჭავაძის სახელობის კლუბი** — ორი დედის ვაჟიშვილი, **ამირანი** (საზაფხულო) — სინდისი, **ისანი** (საზაფხულო) — ხანკა, **თბილისი** — სიყვარულის ასაკი, **კომკავშირელი** — ბედნიერი წისქვილი, **26 კომისრის სახელობის** (პირველი დარბაზი), **კოლხიდა** (საზაფხულო), **გორკის სახელობის კულტურის სახლი, ორჯონიკიძის სახელობის კულტურისა და დასვენების პარკი, კომუნარების ბაღი** — ჩვენი ძვირფასი ექიმი, **26 კომისრის სახელობის** (მეორე დარბაზი) — „დრუჟოკი“, **26 კომისრის სახელობის** (საზაფხულო), **კოლხიდა** (საზამთრო), **კოლმეურნე, დიდუბე** (საზაფხულო), **ვაკის პარკი** — სხვისი შვილები, **საქართველო** (წითელი დარბაზი) — დაუმარცხებელნი, **კიროვის სახელობის პარკი, სარეწაო კოოპერაციის კულტურის სახლი** — იდიოტი, **ძერჟინსკის სახელობის კლუბი** (საზაფხულო) — ისტორია ერთი რეპორტაჟისა, **ოფიცერთა სახლი** — საბჭოთა კინოფილმების ფესტივალი, **ყაზბეგი, ჭავჭავაძის სახელობის კლუბი** (საზაფხულო) — დამსხვრეული ოცნებანი, **პლეხანოვის სახელობის კლუბი** (საზაფხულო) — მზის ჩასვლის წინ, **სტალინის სახელობის კულტურისა და დასვენების პარკი** — ოქროს გულისათვის, **დიდუბე** (საზამთრო) — ცხელი ცის ქვეშ.

**დაიწყო ხელმოწერა**

კომუნისტური და მუშათა პარტიების ყოველთვიურ თეორიულ საინფორმაციო ჟურნალზე **„მშვიდობისა და სოციალიზმის პრობლემები“**, რომელიც გამოცემულ იქნება პრაღაში **რუსულ, ალბანურ, ინგლისურ, ბულგარულ, უნგრულ, ვიეტნამურ, ესპანურ, ჩინურ, კორეულ, გერმანულ, პოლონურ, რუმინულ, ფრანგულ და ჩეხურ** ენებზე.

ჟურნალი გამოვა სექტემბრიდან. თვეში ღირს 3 მანეთი, წლის ბოლომდე 12 მანეთი.

„სოიუზპეჩატი“.

## ტელეგადაცემათა პროგრამა 26 ივლისისათვის

19.30 — თბილისის სკივო-სა და ერევნის „სპარტაკის“ ფეხბურთელთა გუნდების მატჩის მეორე ნახევრის ტრანსლაცია თბილისის „დინამოს“ სტადიონიდან, 19.45 — გადაცემა ბავშვებისათვის — სატელევიზიო ჟურნალი „საქართველოს პიონერი“ № 14 (36), 20.30 — მხატვრული ფილმი „მომეცი ხელი, ჩემო სიცოცხლევ“.

თბილისის ლენინის რაიონის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი იუწყება რაიონული საბჭოს დეპუტატის, საქართველოს სსრ დამსახურებული ექიმის **ვიქტორ ალექსანდრეს-ძე სიხარულიძის** გარდაცვალებას და თანაგრძნობას უცხადებს მის ოჯახს.

უე 03931 საქართველოს კპ ც. კ-ის გამომცემლობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“, ლენინის ქ. № 14.